ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2022 წელი, 3 ივნისი, №5 (6550)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 70 თეთრი

## საქმიანი შეხვედრა ყვარლის მუნიციპალიტეტის ფერმერებთან



საქართველოს პარლამენტის თელავის, ახმეტის, ყვარლისა და ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ქადაგიშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრები დავით მათიკაშვილი და გურამ მაჭარაშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზაუტაშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ილია მზექალაშვილი, სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად, ყვარელში ადგილობრივ ფერმერებს შეხვდნენ.

შეხვედრა გახსნა თელავის, ახმეტის, ყვარლისა და ლაგოდეხის საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ქადაგიშვილმა. ბატონმა ირაკლიმ მიმოიხილა მსოფლიოში შექმნილი კრიზისული სიტუაცია და საქართველოში არსებული მდგომარეობა. მიუხედავად იმისა რომ ქვეყანაში ორციფრიანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირებულია, რთულ ვითარებაში გვიწევს მუშაობა, უნდა შევძლოთ, რომ განვითარების ტემპი არ შევანელოთ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშვიდობის შენარჩუნება, რომლისთვისაც საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს.

ყვარელი გამორჩეული მუნიციპალიტეტია და ტურიზმის განვითარების მიზნით მნიშვნელობა ენიჭება ინფრასტრუქტურულ პროექტებს. საშვილიშვილოა ყვარელში წყალ-კანალიზაციის სისტემის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება, ასევე სოფლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა დასრულების შემდგომ მოსახლეობა მიიღებს უკეთესი ყოფა-ცხოვრების პირობებს.

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე

## „... სახელი რჩება ამქვეყნად მარტო, ცა ჩემი სულის მისამართია!“



ყვარლის, იოანე ნათლისმცემლის სახელობის ჭავჭავაძეაანთ საგვარეულო ეკლესიის მოძღვარი, დეკანოზი ბენიამენ ჩიხორლიშვილი ყვარლელებისთვის გამორჩეულად პატივსაცემი და დასაფასებელი ადამიანია. არა მხოლოდ, როგორც სულიერი მოძღვარი, ეკლესიის მსახური და უაღრესად განსწავლული, ასევე, შემოქმედების მსახურიც. ამასთან ერთად, იგი მრავალი წელია, აქტიურად თანამშრომლობს ჩვენ რედაქციასთან და გაზეთის დიდი გულშემატკივარია.

13 მაისს, ილია ჭავჭავაძის სახელობის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმში, საქართველოს მწერალთა კავშირის, ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრისა და ყვარლის მწერალთა ორგანიზაციის ხელშეწყობით გაიმართა მამა ბენიამენის შემოქმედებითი საღამო. სადაც ისაუბრეს მისი შემოქმედების შესახებ. წარმოდგენილი იყო მისი წიგნებიდან „რა ქმნილან ყვარლელნი?“ და „მე, ბენიამინ ყვარლელი!“ ფრაგმენტები.

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე



## 26 მაისი – საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღე



საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღე 26 მაისი სადღესასწაულო კონცერტით აღინიშნა ყვარლის კულტურის სახლში.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრთან არსებული ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები. წამყვანი – კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი იზოლდა იოსებიანი.

ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზაუტაშვილი და თვითმართველობის წარმომადგენლები.

## ყვარლის სახალხო თეატრმა სეზონი გახსნა...



საინტერესო და მნიშვნელოვანი დღე იყო 14 მაისი ყვარელში. კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახალხო თეატრში სეზონი გაიხსნა და გაიმართა სპექტაკლი „ანგელოზები ტირიან“. ერთმოქმედებიანი პიესა ერთმნიშვნელოვნად გამოხატავს – რა არის ადამიანური ფასეულობები, როგორ უნდა ვიცხოვროთ.

პიესის ავტორი და დამდგმელი რეჟისორია მერაბ ჩხაიძე.

მონაწილეობენ ადგილობრივი, მოყვარული მსახიობები: დაჩი დავითაშვილი, მამუკა ყეინოშვილი,გოგა სოლომნიშვილი,მაია მამულაშვილი, მედეა გეგეჭკორი და მაია ხვთისაურიშვილი.

სპექტაკლს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ კულტურის მინისტრის მოადგილე კახა სიხარულიძე, პარლამენტის კულტურის კომიტეტის წარმომადგენლები და საპარლამენტო უმრავლესობის წევრები.

როგორც კახა სიხარულიძემ აღნიშნა: საქართველოს რეგიონებში კულტურული ცხოვრების ხელშეწყობა სამინისტროს მუშაობის ერთერთი მთავარი პრიორიტეტია. მან მადლობა გადაუხადა ყვარლის სახალხო თეატრის მესვეურებს შესანიშნავი სპექტაკლისთვის.

პუბლიცისტმა, კრიტიკოსმა, კულტურის მინისტრის მრჩეველმა, პროფესორმა იოსებ ჭუმბურიძემ ისაუბრა სპექტაკლის სარეჟისორო და სამსახიობო ნამუშევარზე: „როგორც დიდი ილია ამბობდა – თეატრმა ხელი უნდა შეუწყოს ენის ამაღლებას და ზნეობის სიწმინდეს, რასაც ეს სპექტაკლი მკაფიოდ უსვამს ხაზს. მომავალში ვისურვებდი, ამ სცენაზე ნოდარ დუმბაძის და რეზო ინანიშვილის ნაწარმოებების ნახვას“. ყვარლის კოტე მარჯანიშვილის სახალხო თეატრს უსურვა სახელმწიფო თეატრის სტატუსის მინიჭება.

მაყურებელს მადლობა გადაუხადეს და დასს წარმატება უსურვეს: საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა დავით მათიკაშვილმა და კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორმა მაია ზარდიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერის გივი ზაუტაშვილის ღვაწლი და დამსახურება ყვარლის კულტურის განვითარების საქმეში და მადლობა გადაუხადა კულტურული პროექტების მხარდაჭერისათვის. აღსანიშნავია, ყვარლის საკრებულოს თავმჯდომარის ილია მზექალაშვილის დამსახურება, რომელმაც 2016 წელს, მაშინ როდესაც საფუძველი ეყრებოდა ყვარლის სახალხო თეატრს, მხარი დაუჭირა და დიდი წვლილი შეიტანა თეტრის აღორძინების საქმეში.

**ია გიგიაშვილი**



## ახალგაზრდობა – მომავლის საიმედო საყრდენი

*მისასალმებელია, რომ 2022 წლის 15 თებერვლიდან ქალაქ ყვარლის ბიბლიოთეკის შენობაში კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორის, ქალბატონ მაია ზარდიაშვილის ინიციატივით და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ გივი ზაუტაშვილის ხელშეწყობით გაიხსნა და ფუნქციონირება განაახლა საგანმანათლებლო პროექტმა „გაიღრმავე ცოდნა“. აღნიშნული პროექტი მოსწავლე ახალგაზრდობას სთავაზობს უცხო ენების, ჭადრაკის შესწავლას, ასევე ფსიქოლოგის და სპეციალური მასწავლებლის მომსახურებას. და რაც მთავარია, პროექტი ხელს შეუწყობს მომავალი თაობების ცოდნისა და აღზრდის მეტად საპასუხისმგებლო საქმეს.*

*სპეციალური მასწავლებლის და ფსიქოლოგის მომსახურება გულისხმობს მოსწავლეების როგორც აკადემიური, ასევე კოგნიტური უნარების განვითარებაზე მუშაობას. მრავალფეროვან შემეცნებით გასართობ აქტივობას ფორმალურ თუ არაფორმალურ გარემოში, კონკრეტულად ბავშვზე მორგებულ სასწავლო პროგრამას, რომელიც რა თქმა უნდა, ითვალისწინებს ბავშვის შესაძლებლობებს და ინტერესებს. მიმდინარეობს ფსიქოლოგთან ერთად სხვადასხვა ქცევითი თერაპიის წარმართვა, სადაც დრო ეთმობა ისეთი აქტუალური საკითხების განხილვას, როგორიცაა ბულინგი სკოლაში, ურთიერთობის სწორად წარმართვა სასკოლო და არასასკოლო გარემოში როგორც მასწავლებელთან, ასევე მშობლებთან.*

*ამ ყველაფერს კი ხელს უწყობს თბილი და ლამაზი გარემო, გამოცდილი სპეციალისტები, მრავალფეროვანი რესურ-*

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე



# საქმიანი შეხვედრა ყვარლის მუნიციპალიტეტის ფერმერებთან



დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა დამოკიდებულია სოფლის მეურნეობაში საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული პროგრამის წარმატებით განხორციელებაზე.

ჩვენი დღევანდელი შეკრების მიზანია კითხვა-პასუხის რეჟიმში განვიხილოთ ეს პროგრამები, რათა კიდევ უფრო დაიხვეწოს და მისაღები გახდეს ფერმერებისათვის.

სოფლის მეურნეობაში მიმდინარე პროგრამების თაობაზე ვრცლად ილაპარაკეს საქართველოს პარლამენტის წევრებმა დავით მათიკაშვილმა, გურამ მაჭარაშვილმა, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა გივი ზაუტაშვილმა.

აგროდაზღვევის, დანერგე მომავლის, მესაკუთრეთა ხელშეწყობის, შეღავათიანი აგროკრედიტის, ჭაბურღილების და წვეთოვანი სისტემების, მოსავლის ასაღები და სასოფლო სამეურნეო ტექნიკის, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტებზე თავიანთ გამოსვლებში ილაპარაკეს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის, კახეთის რეგიონალური სამსახურის უფროსმა გურამ გერმანიშვილმა და მისმა მოადგილემ ანდრია ქიტესაშვილმა.

ადგილობრივ მოსახლეობასთან მსგავსი ტიპის საინფორმაციო შეხვედრები მნიშვნელოვანია, რათა სწორად დაგეგმონ და განავითარონ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამომავლო საქმიანობა და ისარგებლონ მთავრობის მიერ ინიცირებული სახელმწიფო პროგრამებით.

შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატში, მოქალაქეთა აქტიური ჩართულობით გაიმართა.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# 18 მაისი მუზეუმების საერთაშორისო დღეა!



1977 წლიდან მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს ICOM-ის გადაწყვეტილებით, 18 მაისს მთელს მსოფლიოში მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნება. 150 ქვეყნის მუზეუმებში ამ დღეს ღია კარის დღეები, სამეცნიერო კონფერენციები და სხვა ღონისძიებები ეწყობა.

მუზეუმის საერთაშორისო დღის მიზანია, ხელი შეუწყოს იმ ფაქტის გაცნობიერებას, რომ „მუზეუმები წარმოადგენენ კულტურული გაცვლების, კულტურების გამდიდრებისა და ხალხთა შორის ურთიერთგაგების, თანამშრომლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის განვითარების მნიშვნელოვან საშუალებას".

წლევანდელი მუზეუმის საერთაშორისო დღის თემა იყო „მუზეუმების ძალა".

18 მაისს ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმში ორი მნიშვნელოვანი თარიღი აღინიშნა: მუზეუმების საერთაშორისო დღე და თვითონ მუზეუმის დაარსების 85 წლის იუბილე. ამასთან დაკავშირებით მოეწყო გამოფენა:"მუზეუმი დაარსებიდან დღემდე", სადაც წარმოდგენილი იყო მუზეუმის ისტორიის ამსახველი ფოტო-დოკუმენტური მასალა, რომელიც დამსწრე საზოგადოებას გააცნო ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა შორენა სეფაშვილმა. ღონისძიებას ესწრებოდა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზაუტაშვილი.

**ია გიგიაშვილი**



# ახალგაზრდობა – მომავლის საიმედო საყრდენი

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

*სი, რომელიც სპეციალურად საგანგებოდ მომზადდა, აღნიშნა ჩვენთან საუბარში ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორმა, ქალბატონმა მაია ზარდიაშვილმა და ვთხოვეთ ესაუბრა ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც.*

**– ქალბატონო მაია, კარგა ხნის წინ ჩვენს რაიონში არსებობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც სხვადასხვა წრეების არსებობით იყვნენ დაკავებული ჩვენი ახალგაზრდები. თქვენ თუ იცით, რა იყო ამის მიზეზი, რამ განაპირობა მისი უმოქმედობა?**

– პირველ რიგში მოგესალმებით, მივესალმები საზოგადოებას. რაც შეეხება კითხვას, ახალგაზრდობის სახლის არსებობის შეწყვეტაზე, მე ვერ გაგცემთ პასუხს. მაგ პერიოდში საქართველოში არ ვიმყოფებოდი და შესაბამისად არ მაქვს პასუხი. მე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ახალგაზდების სწავლა-აღზრდის საქმეში, უდიდესი როლი ეკუთვნის არაფორმალურ განათლებას. აუცილებელია არსებობდეს კლასგარეშე და სკოლისგარეშე დაწესებულებები, რომლებიც ასრულებენ სკოლებთან ერთად იმ დიდ მისიას, რომ აღზარდოს ახალგაზრდა საზოგადოებისთვის ღირსეულ წევრად.

**– სრულად რომ წარმოვაჩინოთ რა და რა სახის წრეებია გახსნილი დღეს ამ სახლში და კვირაში რამდენი დღე ეთმობა მეცადინეობას?**

– ახალგაზრდის ღირსეულ წევრად ჩამოყალიბებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა, აზროვნების ძაფია. ამიტომ გადავწყვიტეთ გახსნილიყო კულტურის ცენტრთან არსებული სხვადასხვა წრეები ინგლისურის, ჭადრაკის, გერმანულის, ინკლუზიურის, გიტარის. ბავშვები, რომლებიც გაწევრიანებულები იქნებიან ჩვენთან არსებულ წრეებში, უფასოდ ჩაუტარდებათ გაკვეთილები, – კვირაში ერთი დღე.

**– ამ დაკარგულ წლებში საზოგადოების დიდი ნაწილის მოთხოვნა იყო კვლავ მოქმედებაში ყოფილიყო უფასო წრეები, რაც ვერ მოხერხდა. ამჟამად ვინ დაგეხმარათ ამ პროექტის განხორციელებაში?**

– დიახ, გეთანხმებით, წლებია საზოგადოების მართლაც დიდი მოთხოვნა იყო უფასო წრეების გახსნა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ვერ ხერხდებოდა. ამჟამად ამ პროექტის განხორციელებაში დიდი წვლილი შეიტანა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა გივი ზაუტაშვილმა, რის გამოც უდიდეს მადლობას ვუხდი მას. უკვე ბევრი ბავშვი დაკავდა კულტურის ცენტრთან არსებული წრეებით, 67 ბავშვია ჭადრაკის წრეზე, არანაკლები ინგლისურზე და ასევე გერმანულზე, გიტარის წრეზე, რაზეც კულტურის ცენტრთან არსებული წრეების წევრთა მშობლების მადლობაც დავიმსახურეთ.

**– როგორც უფასო წრეები, როგორია ინტერესი მოსწავლეთა მხრიდან?**

– რადგან ძალიან ბევრმა ბავშვმა გამოთქვა სურვილი, გული არავის დავწყვიტეთ და ბავშვები სურვილისამებრ, შეძლებისგადვარად გადავანაწილეთ. წრეებში დასაქმებულნი არიან კვალიფიციური პედაგოგები. ბავშვების მხრიდან ინტერესი მართლაც დიდია და დღემდე არ წყდება მათი ნაკადი.

**– ხომ არ აპირებთ რომელიმე წრის დამატებას?**

– სექტემბრიდან გვინდა დავამატოთ ხატვის წრე. ამას დრო გვიჩვენებს. კარგი იქნება ისტორიის წრე, გეოგრაფიის წრე, რომელთა ფუნქციონირება ხელს შეუწყობს ახალგაზრდები აღზარდონ პატრიოტული სულისკვეთებით. წრეების გარდა გვაქვს სიახლე. კვირაში ერთხელ ახალგაზრდების მოთხოვნით ხდება ფილმის ჩვენება კულტურის სახლში. ვცდილობთ ყველანაირად, ილიას მშობლიურ ყვარელში კულტურული ცხოვრება აქტიური იყოს, რაშიც გვერდში გვიდგას ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია. დანარჩენი საზოგადოებამ შეაფასოს. ჩვენ ყოველთვის ვიქნებით მათ გვერდით, რადგან ზუსტად ახალგაზრდობაა ჩვენი მომავლის საიმედო საყრდენი.

**– თუ რა შედეგების მომტანია მომავალი თაობებისათვის ყვარლის სარაიონო ბიბლიოთეკასთან არსებული ეს ახლადგახსნილი წრეები, ამაზე თავად წრის მასწავლებლები განგვიმარტავენ.**

– მარიამ კუზმინსკაია – ჭადრაკის მასწავლებელი – ამ პროექტში მონაწილეობით ოცნების ახდენის საშუალება მომეცა. ყოველთვის ძალიან მინდოდა ბავშვებისთვის ჩემი ცოდნა და გამოცდილება გამეზიარებინა და მათ ჭადრაკის შესწავლაში დავხმარებოდი. მიხარია, რომ ჭადრაკის შესწავლა ერთ-ერთ საჭიროებად გამოიკვეთა და მშობლების მხრიდან აქტიური და პოზიტიური მხარდაჭერა მოჰყვა. ჭადრაკის წრეზე დღემდე 67 სკოლის მოსწავლე დადის. შესწავლა დასაწყისიდან, ფიგურების გაცნობით დავიწყეთ. პროექტის განმავლობაში შევძელით ის, რომ ბავშვები სრულყოფილად იცნობენ თამაშის წესებს და დღეს უკვე საჭადრაკო ამოცანებსაც წერენ. გარდა ამისა იცნობენ ჭადრაკის ისტორიასაც. მისასალმებელია ისიც, რომ სულ ახლახან საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გაცხადებულ იქნა, რომ ახალი სასწავლო წლიდან სკოლის მოსწავლეებს სხვა გაკვეთილებთან ერთად ჩაუტარდებათ ჭადრაკის გაკვეთილები.



ულრმესი მადლობა პროექტის ინიციატორს, ა (ა)იპ ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორს, ქალბატონ მაია ზარდიაშვილს და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ გივი ზაუტაშვილს პროექტის მხარდაჭერისთვის.

მოხარული ვიქნები, თუ პროექტი გაგრძელდება, რადგან ჭადრაკის შესწავლის ის მსურველები, რომლებიც ამ ნაკადში ვერ მოხვდნენ, დღემდე გვაკითხავენ.

სასიხარულო ფაქტია, რომ მშობლები და ბავშვები ჭადრაკის შესწავლის სურვილს ავლენენ და იციან, რომ ჭადრაკის თამაში ხელს უწყობს ბავშვის გონებრივ განვითარებას.

– თამარ ჩიხორლიშვილი – ამ რამოდენიმე თვის წინ, ქალაქ მერიის და კულტურის განვითარების ცენტრის ინიციატივით შეიქმნა წრეები „გაიღრმავე ცოდნა", სადაც ბავშვები იღრმავებენ ცოდნას სხვადასხვა საგნებში.

სიხარულით მივიღე ქალბატონი მაიას შემოთავაზება ინგლისური ენის მასწავლებლად. ჩამოვაყალიბე ექვსი ჯგუფი, სადაც არიან სხვადასხვა ასაკის ბავშვები პირველიდან მეშვიდე კლასის ჩათვლით. ბავშვებს ვასწავლი ინგლისური ენის გრამატიკას და ინგლისურ ენაზე ვაცნობ სხვადასხვა საინტერტესო მოთხრობებს, იგავ-არაკებს და ამბებს. მყავს ორმოცამდე ბავშვი, რომლებიც დიდი სიხარულითა და ინტერესით ესწრებიან გაკვეთილებს. გვაქვს აგრეთვე სხვადასხვა აქტივობებიც და მომავალშიც იგეგმება ბევრი საინტერესო ღონისძიება.

პატარების ამ დიდი სიხარულის მინიჭებისთვის და მათი მომავალი განვითარებისთვის მათ მადლობას ვუხდი.

– ნანა ჩიხიაშვილი – ყვარლის კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა წრეები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. წელს კიდევ ერთი წრე შეემატა ბავშვების მუსიკალური განვითარების შესაძლებლობას, რის გამოც დიდ მადლობას ვუხდით ყვარლის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ გივი ზაუტაშვილს და კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორს, ქალბატონ მაია ზარდიაშვილს. ეს გახლავთ კლასიკური გიტარის წრე, რომელიც უფასოა და მსურველების სიმრავლით გამოირჩევა. მიუხედავად რაოდენობისა, მე ვიცი, რომ ყვარელში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა. მობრძანდით ჩვენთან, დაეუფლეთ ამ არაჩვეულებრივ ინსტრუმენტს, რაშიც დაგეხმარებათ პედაგოგი ნანა ჩიხიაშვილი.

– ნაირა (ნაილე) ბოსტოღანაშვილი – გერმანული ენისა და ლიტერატურის წრის ხელმძღვანელი – პირველ რიგში მე მინდა მადლობა გადავუხადო ქალბატონ მაია ზარდიაშვილს და ბატონ გივი ზაუტაშვილს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ახალგაზრდა თაობას ინტელექტის ამაღლებაში და ამ საუკეთესო პროექტის განხორციელებაში.

გერმანულით მინდა დავიწყო, რადგან წარმოვადგენ ამ ენის უშუალო ხელმძღვანელს. წლებია მივიწყებული იყო ყვარელში გერმანული ენა და ლიტერატურა, აქტიურად სკოლებშიც აღარ ისწავლებოდა და კიდევ ერთხელ მადლობა მათ ამ ენის წინა პლანზე წამოწევისათვის და გაცოცხლებისთვის.

უკვე ოთხი თვეა, რაც ეს წრე ფუნქციონირებს ყვარელში, ბიბლიოთეკის შენობაში. გერმანული ენის სწავლებას ბავშვები დიდი მონდომებით ეუფლებიან. მათთან ენის სწავლება დავიწყე ნულიდან, ანბანიდან და ახლა თამამად შეიძლება ვთქვა, რომ მათ შეუძლიათ ერთმანეთთან საუბარი, აქვთ უამრავი ლექსიკური მარაგი და შეუძლიათ სწორი წერა და მეტყველება. ახლა ვემზადებით ღონისძიებისთვისაც.

კარგია თუ გაგრძელდება ასეთი პროექტი სამომავლოდაც და დიდი იმედი მაქვს ბევრი ბავშვი ჩაებმება ამ პროექტში. ყველამ ერთად ვიზრუნოთ და ხელი შევუწყოთ მომავალი თაობების სწავლა-აღზრდის საქმეს, რომლებმაც ქვეყნის უკეთესი მომავალი უნდა უზრუნველყონ.

**დალი ტატულიშვილი**

# მაგნიუმის ნაკლებობა ვაზში

მევენახე ფერმერებისათვის ნაცნობია ვაზის ფოთლის კიდეებზე მოყივითალო-კრემისფერი ქლოროზი, ხოლო შუაში ფოთლის ძარღვებთან მუქი მწვანე ფერი (წითელ ჯიშების შემთხვევაში ყვითელი ფერის მაგივრად შესაძლოა შენიშნოთ მოწითალო ფერი). ეს გამოწვეულია მაგნიუმის ნაკლებობით.

რა როლი აქვს მაგნიუმს ვაზში?

მაგნიუმი ქლოროფილის ცენტრალური კომპონენტია და მონაწილეობას იღებს ფოტოსინთეზში. ასევე ეს ელემენტი ააქტიურებს ფერმენტებს, რომლებიც საჭიროა მცენარის ზრდისთვის. მისი ნაკლებობა ფოთლებზე ვლინდება ზაფხულის შუა რიცხვებში.

მაგნიუმის დეფიციტისას ნახშირწყლები გროვდება ფოთლებში და არ გადადის მცენარის სხვა ნაწილებში. ამიტომ მისი ნაკელბობა ზღუდავს მცენარის უნარს გამოიმუშავოს და გადაანაწილოს ნახშირწყლები. მაღალ კალიუმიანი სასუქების შეტანა მნიშვნელოვანია ვაზის კულტურაში, თუმცა ამასთან ერთად არ უნდა დაგვავიწყდეს მაგნიუმით ნიადაგის გამდიდრება. ჭარბი რაოდენობით კალიუმი და კალციუმი ბლოკავს მაგნიუმის შეთვისებას. ამიტომ მნიშვენლოვანია, რომ მცენარეს არ მივაწოდოთ მხოლოდ გარკვეული ელემენტები, არამედ შევინარჩუნოთ მცენარისთვის საჭირო საკვები ელემენტების სწორი ბალანსი. მაგნიუმის დეფიციტი ხშირია ისეთ ნიადაგებში რომლის პ ნაკლებია 6-ზე და მეტია 7.5-ზე. იმისათვის რომ სწორად შევარჩიოთ სასუქი, აუცილებელია გავზომოთ ნიადაგში არსებული მიკრო და მაკრო ელემენტები.

მაგნიუმის დეფიციტის აღმოსაფხვრელად საჭიროა ნიადაგში შესატანი C სასუქი დამატებით შეიცავდეს მიკროელემენტ მაგნიუმს. ასევე მაგნიუმის შემცელობის კორექტირება შესაძლებელია წვეთოვანი სარწყავი სისტემით და ფოთლოვანი გამოკვებით.



# „... სახელი რჩება ამქვეყნად მარტო, ცა ჩემი სულის მისამართია!“

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა, გივი ზაუტაშვილმა დეკანოზ ბენიამინს სიმბოლური საჩუქარი გადასცა, ხოლო საქართველოს მწერალთა კავშირის რეფერანტმა და გამომცემლობა მერანის დირექტორმა, მანანა გორგიშვილმა, ნიკო ნიკოლაძის სახელობის სიგელით დააჯილდოვა.

ვულოცავთ მამა ბენიამენს ამ ჯილდოს და გთავაზობთ საინტერესო ინტერვიუს მის შემოქმედებით ცხოვრებასთან დაკავშირებით.

„აგერ უკვე მეოთხედი საუკუნეა, რაც გამომარჩია უფალმა ყვარლის ტაძრის მსახურად და მას შემდეგ, შეძლებისდაგვარად, ვზიდავ ჩემს მძიმე ჯვარს...

ღმერთმა ადრიდანვე მიბოძა წერის ნიჭი, ჯერ კიდევ წმინდა ილია მართლის მუზეუმში მსახურებისას. ხოლო, ამ ხუთი წლის წინ კი, ჩემი ფიქრები, გრძნობები, გულისთქმანი, საკუთარი სულის წუხილი თუ სიხარული ლექსსაც გავანდე და პოეზიის მსახურიც გავხდი. მადლობა უფალს, ამდენი საპატიო ტვირთვის ტარებისთვის...“ – წერს მამა ბენიამინი წინასიტყვაობაში საავტორო ლექსების კრებულში“ცა ჩემი სულის მისამართია“.

**– მამაო, როგორც თქვენ ამბობთ, თავიდანვე გქონდათ წერის ნიჭი, როდის იქცა შემოქმედებად ეს ნიჭი?**

– წერის ნიჭი შეიძლება გენებიდანაც მომდევს, რადგან მამაჩემი ჯანსულ ჩარკვიანისა და ოთარ ჭილაძის თანაკურსელი გახლდათ და თვითონაც წერდა ლექსებსა და წერილებს, რომლებმაც, სამწუხაროდ, ჩემამდე ვერ მოაღწია...

წერა პირველად მაღალ კლასებში დავიწყე, მე-9 – მე-10 კლასში. ჩემი ლექსები და ესეები მოსწონდათ როგორც თანაკლასელებს, ასევე მასწავლებლებს. მაგრამ, მე მაინც ვფიქრობდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო და კარგა ხანი მივანებე თავი ლექსების წერას. მაგრამ, სამაგიეროდ, მუზეუმში მუშაობისას და სასულიერო პირად გახდომის შემდეგ, გაზეთ „ყვარელში“ ქვეყნდებოდა ჩემი წერილები წმიდა ილია მართალზე და სხვადასხვა სასულიერო თემებზე. რაც შეეხება ლექსებს, ლექსებთან მე წმიდა ილია მართლის მუზეუმმა დამაბრუნა, როცა ვეზიარე პირველად, მუზეუმის დირექტორის, პოეტისა და პუბლიცისტის, ილო ბეროშვილის შემოქმედებას. მოდიოდნენ მასთან პოეტები, მწერლები და მათი შეხვედრა მუზეუმში ყოველთვის სასწაულს ჰგავდა. ბაასობდნენ სუფრასთან სამშობლოს სვე-ბედზე, ეპაექრებოდნენ და ახალ ლექსებს უკითხავდნენ ხოლმე ერთმანეთს. ამ ყველაფერმა უდიდესი გავლენა მოახდინა ჩემზე, უფრო შემაყვარა პოეზია, გულით ვატარებდი და უკვე როგორც სასულიერო პირმა, გავბედე და კვლავ ამოვთქვი ლექსებად ჩემი სათქმელი...

ჩემი პოეზია ძირითადად სასულიეროა და ლოცვების გაგრძელებად აღიქმება. თუმცა ვუმღერი კიდევ სამშობლოს, მის მომავალს, ჩემს დამბადებელ ყვარელს, გმირ წინაპრებს, ვუმღერი ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანებს. მე არ ვთვლი თავს, რომ კარგი პოეტი ვარ. პოეტი ის არის, რომელსაც წერის განსაკუთრებული მანერა აქვს. მისი ლექსების კითხვისას უნებურად ინუსხები და ემორჩილები მის ემოციებს, იძენ იმ უდიდეს მუხტს, რომელიც მძაფრად იგრძნობა მის შემოქმედებაში.

ნათქვამია, რაც უფრო იზრდება ადამიანი, უფრო ბრძენდება, იქნებ ჩემს ლექსებსაც შემდეგში, უფრო მეტი სინათლე მოემატოს, ვინ იცის...

**– ზოგადად, თქვენი შემოქმედების შესახებ რას იტყოდით?**

– წერის პროცესი ყველაზე სასიამოვნო მოვლენაა ჩემთვის, რადგან ამ დროს ამოვთქვავ ხოლმე ჩემს სათქმელს, მიწიერზე თუ ზეციერზე, რომელიც დამიგროვდა, სულს მიფორიაქებს და, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვიტანო მზის სინათლეზე, რომ განვთავისუფლდე და სამომავლოდ თავისუფლად ამოვისუნთქო.

ყველა ლექსი გულითა მაქვს დაწერილი, შვილებივითააო, რომ იტყვიან, მართლა ასეა – შენ აჩენ, ზრდი, საზოგადოებას აცნობ და მერე თავისით იკვლევს გზას. ზოგი შორს მიდის, ზოგი ვერა, თუმც ყველა ერთნაირად მიყვარს. მთავარია, რომ ისინი მოვიდნენ ადამიანთა გულებამდე და ვიგრძნო, რომ სწორედ ვთქვი, რაც დიდი ხანია მინდოდა მეთქვა.

არც თუ ისე დიდია ჩემს მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა, სულ რაღაც 25 წელი, მაგრამ ეს გზა არის – გზა გულიდან ტვინამდე, რწმენის ეტლი, ფიქრის ბილიკი...

ყოველი ლექსი, რაც კი ჩემს კალამს დასცდენია, აღსარებაა, ტკივილია ჩემი სისხლისა, საზრდოა ჩემი გონებისა, რომელსაც მხოლოდ უფალს უნდა ვუმადლოდე. ყოველი ბგერა ტკივილია ჩემი წილი წუთისოფლისა და კვნესაა სამშობლოს ბედზე მუდმივად მოფიქრალი კაცისა...

საკმაოდ მოვაგროვე ჩემი სულის მარგალიტები, მაგრამ ჯერ ჩემ თავს პოეტს ვერ ვუწოდებ. პოეტად ხალხმა უნდა გაღიაროს და ლექსებმაც დროს უნდა გაუძლონ. წლების შემდეგ, ჩემს ლექსებზეც თუ რამეს იტყვიან, საკმარისი იქნება. არ აქვს მნიშვნელობა, თუ რას. ე.ი. ხომ ვიყავი, ვარსებობდი, ვწერდი, მტკიოდა, მწამდა, მიყვარდა და... გამიხსენეს... და როგორც ჩვენი უსაყვარლესი პოეტი ტიციან ტაბიძე იტყოდა:

„აქედან ვიცი, მე რომ მოვკვდები
ამ ლექსს რომ ვამბობ, ესეც დარჩება...
ერთ პოეტს მაინც გულზე დარჩება
და ეს მეყოფა გამოსარჩლებად“.

**– თუ გყავთ ისეთი ადამიანი, ვისი აზრიც თქვენთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა თქვენი შემოქმედების შეფასებისას?**

– ასეთი ადამიანია ჩემთვის ჩემი უფროსი მეგობარი, ცნობილი თუში მხატვარი და პოეტი რუსუდან ტოზაშვილი. ის ყოველთვის სამართლიანია და, ამიტომაც მისი აზრი ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია და საინტერესო ჩემი შემოქმედების შეფასებისას.

**– არის თუ არა საჭირო შემოქმედისათვის შთაგონების წყარო და რა არის თქვენთვის ეს?**

– შთაგონების წყარო შემოქმედისათვის ნამდვილად საჭიროა და ჩემთვის შეიძლება ეს იყოს ყველაფერი ის, რაც ემოციებს იწვევს ადამიანში. მაგალითად, ჩემთვის შთაგონების წყარო შეიძლება იყოს წმიდა წიგნი – ბიბლია, წმინდანთა ცხოვრება, ფილმები მათ შესახებ, გამოფენები სასულიერო თემებზე, ბუნების სილამაზე, მშობელი მიწის სიყვარული, ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანები, რომლებიც ჩემს ირგვლივ არიან: ახლობლები, მეგობრები, სასულიერო პირები და ქუჩაში თვით უბრალო გამვლელნიც კი.

ცხოვრება მაძლევს თავად შთაგონების წყაროს: უამრავი ფაქტი, ამბავი,



მოვლენა, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, ვითარება, ასევე სულიერი განწყობა, სევდა და სიხარული, რწმენა და სიყვარული, – ეს ყველაფერი ილექება და გამოსავალს ეძებს. რომ დავიტოვო, გული შეიძლება შემიღონდეს, იმდენად მძიმე სატარებელია.

წარმოუდგენელია, რომ პოეტმა წინასწარ ააგოს რაღაც კონსტრუქცია და დასახოს გეგმა და ა.შ. ის დამოკიდებულია რაღაც წამიერ შთაგონებაზე, განწყობაზე, რომელიც პოეტს უნდა დაეუფლოს მოულოდნელად. შეიძლება დიდი ხნის მანძილზე არც კი დაეუფლოს, ეს არ არის დამოკიდებული თვითონ პოეტის ნება-სურვილზე. ეს შთაგონება, განწყობა შეიძლება გამოიწვიოს სტრესმა ანდა მარტოობამ, ანდა გარკვეულმა ემოციურმა ბიძგებმა. თვითონ პოეტმა კი, იმ მომენტში არ იცის, თუ რაზე დაწერს ლექსს. ამიტომაც ეს შთაგონება, გნებავთ მუზა, არის წინასწარგანუჭვრეტელი, მოულოდნელი, მოუხელთებელი რამ. როდესაც მუზა მოუკაკუნებს კარზე, პოეტი ცდილობს ეს განწყობა მოიხელთოს და ენობრივად დააფიქსიროს, სიტყვა და განწყობა ერთად მოდის.

ასეა ჩემს შემთხვევაშიც, შეიძლება ამეკვიატოს სიტყვა, ინტონაცია ან აზრი და ასე მოვიდეს ჩემთან შთაგონება. წინასწარ არც მე ვიცი, რა განწყობა მომივა, ანდა როდის მომივა, ხოლო როცა მოვიხელთებ ამ განწყობას, ნელ-ნელა ჩემში რაღაცნაირად ენობრივად ისახება სათქმელი და იქცევა ლექსად. სხვათა შორის, ამ შემოქმედებით პროცესზე, განწყობის გაელვებაზე, მოხელთებაზე ბევრი ლექსი დაწერილა. აი, რას წერს ამის შესახებ ყვარლელების საყვარელი სიძე, ნინო მაყაშვილის მეუღლე – ტიციან ტაბიძე:

„მე არ ვწერ ლექსებს,
ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლეც ამ ლექსს
თან ახლავს
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ
მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად
დაგმარხავს“.

მართლაც, თვითონ ლექსი წერს პოეტს; ლექსი მიდის პოეტთან მისი ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად და ეუფლება მას. პოეტმა კი მას სახე უნდა მისცეს და ჩატოვოს მასში ის თავისი შინაგანი სინათლე, რომელიც გაარღვევს კონკრეტულ დროს და გადავა მარადისობაში.

მე არ ვიცი, ჩემი ლექსები რა დროს გაუძლებენ, მაგრამ უბედნიერესი ვიქნები, თუ მკითხველის გულამდე მისასვლელ გზას იპოვნიან და საწუთროს გარდა, დააფიქრებენ „იმ ზენა არსთა სამყოფელზეც“, სადაცა მართალნი ნეტარებენ და არს ცხორება იგი დაუსრულებელი“...

**– საეკლესიო მსახურებაში, რამდენად გეხმარებათ თქვენი შემოქმედება. თუ არის თქვენს მოღვაწეობაში, ეს ორი საქმიანობა ერთმანეთთან დაკავშირებული?**

– ჩემი შემოქმედება მრევლთან ურთიერთობის კიდევ ერთი, ლამაზი საშუალებაა. ჩემს ლექსებში გამოკვეთილია უდიდესი სურვილი და მისწრაფება, მკითხველს, რითმების მეშვეობით, გავაცნო უფლის ცხოვრება და სასწაულები, მისი ვნება, ჯვარცმა და მკვდრეთით აღდგომა, წმინდანთა ცხოვრება და რელიგიური დღესასწაულები და, ამ გზით შევაყვარო და დავაახლოვო ისინი სახარებისეულ სიბრძნესა და უფლის სიტყვას.

ჩემი სული სიტყვაში განსხეულდა, ღვთისა და მამულის სადიდებელი ლექსები შევქმენი და ვუმღერე ადამიანებს, მათი ტკივილებიცა და სიხარულიც გავითავისე. ყოველი ჩემი პოეტური ნამუშევარი – ლოცვის გაგრძელებაა, რომ ადამიანები სულიერ ფასეულობებზეც დავაფიქრო და ამდენად, ეს ორი საქმიანობა მჭიდროდ არის ჩემს მოღვაწეობაში ერთმანეთთან დაკავშირებული. ღვთისმსახურება 32 წლიდან დავიწყე, ლექსების წერა კი – 40 წლიდან და მას შემდეგ, შეძლებისდაგვარად, ვზიდავ ამ ორ მძიმე ჯვარს ერთად:

„ჩემს სულში სახლობს მღვდელიც,
პოეტიც,
ლექსიც ამოვთქვი, ლოცვების გარდა...
ამა ცხოვრების მიეთ-მოეთში,
ლოცვა ლა ლექსი მიქარვებს დარდსა“.

**– პოეტებად იბადებიან თუ მერე ხდებიან?**

– ნებისმიერი ადამიანი, რომლის გონების 100 პროცენტიდან, საუკეთესო შემთხვევაში, 5 პროცენტია ქმედითი, იბადება ყველა უნარით. შემდეგ ვინ როგორ და რა ამბების ფონზე, რომელ მხარეს ვითარდება, აი, ესაა მთელი ამბავი. მახსოვს, პირველი ლექსი 14 წლისამ დავწერე და მგონია, ამაში წვლილი წმიდა ილია მართლის მუზეუმსა და მის მაშინდელ დირექტორს, ბატონ ილო ბეროშვილს მიუძღვის. მე ხომ მის ლექსებზე აღვიზარდე და იმდენად მომწონდა, რომ სიამოვნებით ვკითხულობდი სკოლაში თუ წმიდა ილია მართლის საიუბილეო საღამოებზე. მაღალ კლასებში უფრო გავაქტიურდი, ლექსების გარდა ვწერდი ესეებსაც. სამწუხაროდ, შემდეგ მივანებე თავი, უხილავმა ძალებმა კვლავ მიბიძგეს და შეგნებულ ასაკში მივხვდი, რომ ეს ძალები არის ფიქრი, ფიქრს განაპირობებს უამრავი გამოწვევა, გააჩნია ბიძგის სიმძლავრეს, ანუ ფიქრის რაობას. პირველი სერიოზული ბიძგი იყო ჩემთვის, ცნობილი მხატვრისა და პოეტის, რუსუდან ტოზაშვილის პერსონალური გამოფენის ნახვა 2000 წელს, ყვარლის სამხატვრო სახლში, რომლის ნახატებით აღფრთოვანებულმაც დავწერე ლექსი „თუშეთის ყოილო“ და, ამის შემდეგ, უკვე მეც „ლექსი თვითონ მწერს“.



**– თქვენი საყვარელი პოეტი?**

– როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემი საყვარელი პოეტია – ილო ბეროშვილი. მისი ინტელექტის ქვეშ აღვიზარდე წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) მუზეუმში მუშაობის დროს. ჩვენს შორის 40 წელი იყო სხვაობა და, მიუხედავად ამისა, თავის პატარა მეგობრად მივაჩნდი.

ერთხელ ბათუმში იყო დასასვენებლად, სანატორიუმში, ათდღიანი საგზურით. იქიდან დაბრუნებულმა ახალი ლექსები წამიკითხა: „გადმოძახილი“, „მეზღვაურის სიკვდილი“, „ფიქრები“, და სხვა (მქონდა ბედნიერება, ერთ-ერთი პირველი გავცნობოდი ხოლმე მის ახალ ლექსებს). ძალიან ძლიერი ლექსები იყო ყველა და დამაფიქრებელიც. აღტაცებული და ფრიად მოხიბლული დავრჩი.

**– „გიმუშავიათ, კი არ დაგისვენიათ – მეთქი“, – ვუთხარი.**

– „ჰო, ათი ლექსი დავწერე, დღეში თითო ლექსი და წამოვედიო“, – მიპასუხა სიცილით.

„– ეს ლექსები იტყვიან თავის სათქმელს, როცა ჩვენ აღარ ვიქნებით მეთქი“, – ვთქვი ჩუმად, შეპარვით. ვიცოდი, რომ პირში ქება არ უყვარდა.

ახლა როცა ბატონი ილო აღარ არის ჩემს გვერდით და მენატრება ჩემი სულიერი აღმზრდელი და მოძღვარი, მისი ლექსები დამყვებიან ცხოვრების საგზლად.

მე მჯერა, რომ მისი ნათელი სული კვლავ დასტრიალებს, მეოხად, წმიდა ილია მართლის ეზო-კარს და, დადგება დრო, როცა „შორს, ჩრდილში მყოფი ვინმე მეველე“, „ერთხელმც იქნება“, სამზეოზე გამოჩნდება და გაბრწყინდება ვითარცა ნათელი...

მანამდე კი მინდა ჩემს საყვარელ პოეტს და ლექსის ქურუმს – ილო ბეროშვილს აქედან მოვეფერო და მისივე ლექსის სტრიქონებით შევეხმიანო:

„მე ვარ მორწმუნე და მიყვარს ლოცვა,
ყოველ საღამოს, ყოველ ცისმარე...
გვერდზე გადავდე წმიდა დავითნი
და ლოცვად შენი ლექსი ვიკმარე.
შენ შემაყვარე ჩემი მამული,
და ამისათვის მეც შეგიყვარე“.

**– საქართველოში ალბათ არ არსებობს ადამიანი, ერთი ლექსი მაინც არ დაეწეროს. თუმცა ყველა პოეტი არ არის. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ უკანასკნელ პერიოდში, ბევრ ადამიანს ვირუსივით შეეყარა პოეტობის მანია, რომელთაც მხოლოდ ამბიცია აწუხებთ და არა ნიჭი. როგორ ფიქრობთ, საკმარისია ორი სტროფის გარითმვა, მითუმეტეს აზრს მოკლებული, რომ ადამიანმა პოეტი უწოდოს საკუთარ თავს?**

– დაგეთანხმებით, საქართველოში თითქმის ყველა მეორე წერს ლექსს, მაგრამ ყველა პოეტი როდია. ლექსის წერა ნიჭია, რომელიც ცეცხლივით ენთება პოეტის სულსა და სხეულში. აი, რას წერდა წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) პოეტური ნიჭიერების საიდუმლოებაზე: „პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი კაცია. პოეზია ღმრთეებრივი ღონეა, გულის სიღრმიდან მარგალიტების ამომტანელი, მხატვარია ცხოველმყოფელი და ხორცთშესხმული უსხეულო აზრისა, ფიქრისა, გრძნობისა, ერთი სიტყვით – ადამიანის და მსოფლიოს სულის მოძრაობისა“...

ვისაც თუნდაც ერთი ლექსი დაუწერია, იცის, რომ ლექსს უპირველესად ჰბადებს განწყობა, განცდა, ემოცია... და რადგან უემოციო ადამიანი არ არსებობს, ბევრს უჩნდება სურვილი, რაც აწუხებს, სიტყვებით გამოხატოს. ზოგს ეს უკეთ გამოსდის, ზოგს – არც ისე კარგად, მხოლოდ ერთეულებს კი – გენიალურად... და მაინც, რა არის პოეზია? ბევრს ლაპარაკობენ და წერენ იმაზე, რომ შეიძლება ლექსს რითმაც უნაკლო ჰქონდეს, რიტმიც, აზრიც კარგად და მხატვრულად იყოს გადმოცემული და მასში მაინც არ იყოს ის, რასაც პოეზია ჰქვია, რადგან პოეზია არც მხოლოდ უნაკლო რითმაა ცალკე აღებული, არც რიტმი, არც ალიტერაცია, არც აქტუალური თემატიკა, არც მხოლოდ მეტაფორებია... ექიმები იტყვიან ხოლმე, ჯანმრთელი გული მაშინ გაქვს, როცა საერთოდ ვერ გრძნობ მის არსებობასო. ანუ საუკეთესო მხატვრული ნაწარმოები ისაა, როცა საერთოდ ვერ გრძნობ კითხვისას აქ ჩამოთვლილ კომპონენტებს, მაგრამ გრძნობ რაღაცას... და ჩემი აზრით პოეზია სწორედ ისაა, რაც ყოველივე აქ ჩამოთვლილს მიღმა, სტრიქონსა და სტრიქონს შუა ძალაუნებურად შეიგრძნობა რაღაც, რაც გულგრილად ვერ დაგტოვებს.

ლექსი არც გარითმული ცხოვრებაა და არც საკუთარი აზრების ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით გადმოცემა, არამედ ამ აზრების შესაფერისი სახე-სიმბოლოებით აღბეჭდვაა, მაგრამ ლექსი მხოლოდ მაშინ მოდის მკითხველის გულთან, თუ ის ჭეშმარიტი განცდის ნაჟურია, რომელსაც ნამდვილად გაუვლია ავტორის გულში.

**–კიდევ რა სიახლეებს უნდა ელოდოს უახლოეს მომავალში თქვენი მკითხველი?**

– ამ ორი კვირის წინ, საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის დღეს, წმიდა ილია მართლის მუზეუმის დარბაზში ჩატარდა ჩემი ორი წიგნის – „რა ქმნილან ყვარლელნი?“ – სა და ლექსების კრებულის, „მე, ბენიამინ ყვარლელი!“-ს პრეზენტაცია, სადაც საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენელმა, გამომცემლობა „მერანის“ დირექტორმა მანანა გორგიშვილმა გადმომცა დიპლომი – „ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია“. ეს ღონისძიება ჯერ კიდევ 2 წლის წინ უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ პანდემიის გამო მხოლოდ ეხლა მოხერხდა.

უახლოეს მომავალში კი, ივლისის თვეში, საქართველოს მწერალთა კავშირი თბილისში, მწერალთა სახლში, მიწყობს პოეზიის საღამოს, ხოლო მომავალ 2023 წელს, ჩემს საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით (დაბადებიდან 65 და სასულიერო მოღვაწეობიდან 33 წელი), ჩემი მკითხველი გაეცნობა ჩემს სამ ახალ წიგნს: „როცა აღარ ვიქნებით“, „ნეკრესელები წარსულიდან“ და ლექსების კრებულს: „100 ლექსი“.

**– და ბოლოს, აუცილებლად უნდა გკითხოთ და თქვენი კომენტარი საინტერესო იქნება იმასთან დაკავშირებით, რომ ხშირად სოციალურ ქსელში ვირუსულად ვრცელდება იესო ქრისტეს სურათი წარწერით – „თუ გიყვარს გააზიარე, თუ არადა გაატარე“, ან „თუ სახლში შემოუშვებდი ლაიქ, თუ არა და გაატარე“, ან „თუ ქრისტიანი ხარ კომენტარი, თუ არადა გაატარე“ და ა.შ., რაც სასაცილოც არის და გამაღიზიანებელიც. რეალურად ეს თუ არის ნორმალური მოქმედება და რამდენად მისაღები მოვლენაა?**

– ეს არ არის ჩემი აზრით ნორმალური ქმედება და მისაღები, როცა გაიძულებენ, გინდა თუ არ გინდა, იესო ქრისტეს სახელით, გააკეთო არჩევანი, თუ გიყვარს, გააზიარო მისი ფოტო და ან წმინდანთა ფოტოები და კომენტარი დაწერო, ან გაატარო.

იესო ქრისტეს გულის კარი უნდა გავუღოთ და იქ უნდა გვყავდეს მუდამ და ჩვენი კომენტარი ის იქნება, თუ ღვთის სათნო საქმეებს აღვასრულებთ და მის მცნებებთან თანაშეხამებულად ვიცხოვრებთ. ნამდვილი არჩევანის გაკეთება კი მაშინ მოგვიწევს, როცა დადგება ჩვენს წინაშე ის გადამწვეტი მომენტი, როცა გვაიძულებენ ავირჩიოთ ან პური, ან ჯვარი, ან ანტიქრისტე ან უფალი და ჩვენც, რა თქმა უნდა, უფლის ჯვარს უნდა გავყვეთ, რომ მივაღწიოთ სასუფევლის უნათლეს და უმშვენიერეს სავანეებს. ღმერთმა დაგვლოცოთ.

**– გმადლობ საინტერესო ინტერვიუსთვის. წარმატებებს გისურვებთ!**

**ესაუბრა
ია გიგიაშვილი**

# ცოტა რამ ქართული ხალხური ხის ჭურჭლის ისტორიიდან



ქართველი ერის მატერიალური კულტურის ტრადიციულ სახეებს ჭურჭელიც განეკუთვნება. ქართული ჭურჭლის მრავალფეროვან სახეებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ხის ჭურჭელს უკავია. იგი ფორმისა და ფუნქციის განსაკუთრებული ნაირგვარობითა და დამზადების ტექნიკის მაღალი დონით გამოირჩევა, რაც სათანადოდ აისახა მდიდარ ტერმინოლოგიაში.

დიდი ქართველი მამულიშვილი, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ფუნდამენტურ ნაშრომში –"მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის" აღნიშნავს, რომ „...ეთნოსის მატერიალური კულტურის ტრადიციულ სახეებს ჭურჭელიც განეკუთვნება, რომლის შესწავლას ქართული კულტურის ისტორიისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი საინტერესოა როგორც ტექნიკის, ისევე მხატვრული შესრულებისა და კულტურის განვითარების თვალსაზრისით".

ხის ჭურჭლის სახეებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი კერძისათვის განკუთვნილ ჭურჭელს უკავია, რომელთაგან წინამდებარე წერილში განვიხილავთ კოვზებს.

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სხვადასხვანაირი სახისა და დანიშნულების კოვზია გავრცელებული. მრავალფეროვანია მათი აღმნიშვნელი ტერმინებიც.

ყოფაში გავრცელებული კოვზების დახვეწილი ფორმები, რომლებიც ფუნქციის თავისებურებითაა განპირობებული, ქართველი მეურნის მრავალსაუკუნოვანი ემპირიული ცოდნისა და მდიდარი საწარმოო გამოცდილების ერთ-ერთი სანიმუშო მაგალითია.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „კოვზი ლუკმის შთასადებელი ნიჩაბია". ცნობილი ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი ნიკოლოზ ჩუბინაშვილი თავის კვლევებში მიუთითებს – „კოვზი მცირე ციცხვია მეტალისა გინა ხისა, სახმარი დასასხმელად ან საჭმელად წვნიანთა".

კოვზებს მარტივად გათლილ ჯოხებსაც მიაკუთვნებენ, ამგვარი კოვზი – ჯოხი მრავლადაა გავრცელებული ყოფაში და დღესაც ფუნქციონირებს. მრგვალ, მარტივად გათლილ ჯოხს ნაღების, შედედებული რძის, სულგუნის, საფუარის თუ ღომის მოსარევად იყენებდნენ. მისი სახელწოდებებია: „სუთი" (იმერეთი, გურია, მესხეთი), „სარსა", „კირზა" (სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი, გურია), „სარხე" (სვანეთი), „სარეველა" (თუშეთი, მთიულეთი, გუდამაყარი).

ყოფაში მსხვილთავიანი ჯოხებიც გვხვდება, რომლებიც რაჭა-ლეჩხუმში „კვერკვეშოლას", „სატუკავის" სახელწოდებითაა ცნობილი. მას მოხარშული ლობიოს დასასრესად და ხილის დასაჩეჩქვად იყენებდნენ. მისი ძირითადი ფუნქცია – მოხარშული ლობიოს დასრესა, მხოლოდ რაჭის ყოფისთვისაა დამახასიათებელი. ეს გარემოება, როგორც ცნობილია, რაჭული სამზარეულოს თავისებურებით არის განპირობებული.

კოვზის ფუნქციას ასრულებდა აგრეთვე სამ, ოთხ, ზოგჯერ ხუთტოტიანი ჯოხი, რომელსაც უმთავრესად ფაფის, ფელამუშის, ლობიოს დასამზადებლად იყენებდნენ. აღმოსავლეთ საქართველოში მას შეჭამანდისთვისაც ხმარობდნენ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ასეთ ჯოხს „ფოცხიკა", „სამტოტა", „ფოცხვი" ეწოდება.

დასავლეთ საქართველოში მას „ლაფერას" (რაჭა-ლეჩხუმი), „ჟიშხას" (სვანეთი), „ჯარაბას" (ქვემო იმერეთი), „სამკაპალას" (ზემო იმერეთი), „ბურეჭყს" (გურია) უწოდებენ. იგი ნაძვის ხის ბუნებრივად გაზრდილი ტოტია, რომლის ტარის სიგრძე – 40 სმ უდრის, იმისათვის, რომ ჯოხმა ქვაბში თავისუფლად იმოძრაოს, ტოტების სიგრძე 4-5 სმ არ უნდა აღემატებოდეს.

საქართველოს კუთხეებში გავრცელებული ბრტყელპირიანი კოვზები რამდენიმე ფუნქციას ითავსებენ. მათ იყენებდნენ ლუდის დასამზადებლად, მხალის და მწვანე ლობიოს დასაკეპად, საჭმლის ქაფის მოსახდელად. ქართლში იგი „ჩეკის", იმერეთსა და გურიაში „ჩოგანის", რაჭა-ლეჩხუმში „საკეპელას", სვანეთში „კიზის", სამეგრელოში „ხვარჩინის" სახელწოდებითაა ცნობილი.

მრავლადაა ყოფაში შემორჩენილი გახვრეტილი კოვზი – ქაფქირი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მისი ძირითადი ფუნქციის გამო მას „სახინკლენი" ეწოდება. ქაფქირის ნახვრეტების რაოდენობა ფუნქციაზეა დამოკიდებული: ხინკლის ქაფქირს ერთი ნახვრეტი აქვს, ხაჭოსას – სამი, ხოლო ხორცის ამოსაღებ ქაფქირს რამდენიმე.

ხევსურეთში ორიგინალური ფორმის, ბრტყელი, ორნაწილიანი კოვზი ფაფის დასამზადებლად გამოიყენებოდა. მას ფუნქციის მიხედვით „საფაფენი" ეწოდება.

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ – გურიასა და სამეგრელოში გრძელპირიან, ოდნავ ღრმა კოვზს ფაფისა და მაწვნის საჭმელად ხმარობდნენ. ასეთ კოვზებს ძირითადად მესაქონლეები იყენებდნენ საძოვრებზე ყოფნის დროს.

მრავალპირიან, ღრმა, საშუალო სიდიდის კოვზებს – ლუკმის კოვზი (მთიულეთი, ქართლი, მესხეთი), „აფიკა" (ხევსურეთი), ხოლო დიდს – ჩამჩა, ციცხვი, საწვნე (აღმოსავლეთ საქართველო), „კობზი", „კვატუში", „ყოშ" (დასავლეთ საქართველო) სხვადასხვა კერძის საჭმელად და დასასხმელად იყენებდნენ.

კახეთში, თათარას დასამზადებელი გრძელტარიანი, ოდნავ ღრმა კოვზი, ასევე ფორმის ორიგინალობით გამოირჩევა. მას პირის უკანა მხარე ოდნავ მომრგვალებული აქვს, რათა კოვზი ქვაბის კედლებს მოხერხებულად შეეხოს.

თუშეთში გავრცელებული ოთხკუთხა, მოგრძოპირიანი კოვზი – „ქიტი" სხვადასხვა ზომის და დანიშნულებისაა, ფშავ-ხევსურეთში „ქიტს", „თუშურასაც" უწოდებენ. პირგადაშლილ „ქიტს" სასმელად იყენებდნენ. თუშური „ქიტი" მსგავსებას პოულობს დაღესტნურ ასეთივე ფორმის კოვზთან, რომელსაც განსაკუთრებით ულვაშიანი მამაკაცებისათვის ამზადებდნენ.

თუშ–ფშავ–ხევსურეთში დიდი, ოთხკუთხაპირიანი ღრმა კოვზი – „კონჩხა", „კოჩხო" ასევე წვნიანი კერძისთვის იხმარებოდა. გრძელტარიანი „კოჩხო" წყლის, რძის, ლუდის დასალევად გამოიყენებოდა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კოვზი–სასმისიც გვხვდებოდა, რომელიც შუალედური ფორმაა კოვზსა და სასმისს შორის, იგი ორივე ფუნქციას ითავსებს. ასეთია ფშავ-ხევსურული – „კოში", რაჭული – „კვატუში", მეგრული – „მურძგა".

ამგვარად, საქართველოში გავრცელებული კოვზების წარმოშობა –განვითარების სქემა ასე წარმოგვიდგება: სწორი ჯოხი, სამ ან ოთხტოტიანი, ბრტყელპირიანი, ოდნავ ამოღრმავებული, მრგვალი და ოთხკუთხაპირიანი ღრმა კოვზები.

ენათმეცნიერები ვარაუდობენ, რომ ტერმინი კოვზი ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ხანას განეკუთვნება, მაგ. მეგრული – „კიზი", ჭანური – „კუზი".

კოვზი ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მე-11 საუკუნიდან გვხვდება („ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთვიმესი").

დიდი ივანე ჯავახიშვილი გვამცნობს, რომ –"... ჯერ კიდევ XIV საუკუნეში საჭმელს კოვზებით ჭამდნენ, მაგრამ XV საუკუნიდან კოვზები თანდათან ქრება და ხელით იწყებენ ჭამას. ამის შემდეგ დღევანდლამდეა შემონახული „სალოკი თითი", რაც სპარსული გავლენაა".

არსებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში აღმოჩენილი კოვზები ძვ.წ. VI-V საუკუნეებით თარიღდება.

ძველად კოვზები ვაჭრობის საგანიც ყოფილა. ისტორიკოსი და არქეოლოგი ლევან მუსხელიშვილი თავის ნაშრომში აღწერს, რომ „ძველ დმანისში ხის კოვზებიც უკეთებიათ და ამით ვაჭრობდნენ თურმე თბილისთან და ლორესთან".

ღვთის განგებით ხის კოვზების უმრავლესობა ყოფაში დღესაც ფუნქციონირებს. იმ კოვზებს, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ თავისი ფუნქცია, აქა-იქ შემორჩენილი ხალხური ოსტატები კიდევ ამზადებენ.

ჩვენი აზრით, სასურველია, კოვზის ის სახეები, რომელთაც გამოყენებით ფუნქციასთან ერთად გარკვეული მხატვრული ღირებულებაც გააჩნდათ, შესაძლებლობის ფარგლებში იწარმოებოდეს სუვენირების სახით, რაც ქართული ხალხური ტრადიციული ხის ჭურჭლის შენარჩუნებისა და განვითარების ერთ-ერთი გზაა.

დიდება შენდა, უფალო იესო ქრისტე! ამინ!

**ოთარ დავითაშვილი,**
**ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია-ცენტრის" დირექტორის მოადგილე, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი**

# შენაერთი, რომელიც მწვანე ფერის ლაქებიან პომიდორშია, ნერვული სისტემის დაზიანებას და სიკვდილსაც კი იწვევს – როგორ ამოიცნობთ ნიტრატებიან კიტრსა და პიმიდორს?

პომიდორი, რომელიც შიგნიდან გამოფიტულია, დიდი რაოდენობით ნიტრატებს შეიცავს, ასევე ნიტრატებიანია პომიდორი, რომელიც უკვე დამწიფებულია, თუმცა მასში თეთრი ძაფის მაგვარი ზოლებია. ბევრს გონია, რომ მწვანე თესლის მქონე პომიდორიც ნიტრატებითაა გაჯერებული, თუმცა ეს მცდარი შეხედულებაა. კურკების ფერს, პომიდორის ჯიში განაპირობებს. ალბათ გინახავთ პომიდორი, რომლის ზედაპირიც თეთრი წინწკლებითაა დაფარული. ასეთი პროდუქტი ხელოვნურადაა დამწიფებული და მასშიც სავარაუდოდ დიდი რაოდენობით ნიტრატები იქნება. ასევე გასათვალისწინებელია, რომ კიტრში უფრო ადვილად კონცენტრირდება ნიტრატები, ვიდრე პომიდორში, ამიტომ კიტრის შეძენისას და მირთმევისას კიდევ უფრო დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ. ნუ შეიძენთ არაბუნებრივად, ძალიან მუქი ფერის კიტრს, მასში დიდი ალბათობით დასაშვებ დოზაზე მეტი ნიტრატებია. კარგი პომიდორი ძირს დაგდებისას უნდა დაიჭყლიტოს, თუ პომიდორმა შეინარჩუნა ფორმა, ის არაბუნებრივი გზებითაა დამწიფებული. ასევე იცოდეთ, პომიდორს, რომელსაც არაბუნებრივი გამონაზარდები აქვს, არ არის სასარგებლო, რადგან მას ასეთი ფორმა ჰორმონალური პრეპარატების მეშვეობით აქვს მიღებული, რომლის მიღების შედეგადაც, მუტაცია განიცადა.

პომიდორის ყიდვისას მნიშვნელოვანია დააკვირდეთ ლაქებს, თუ მასზე მწვანე ფერის ლაქებია, მოერიდეთ ასეთ პროდუქტს, რადგან უმწიფარ პომიდორში დიდი რაოდენობით სოლანინია.

სოლანინი – ორგანული შენაერთი, შხამიანი ალკალოიდი, რომელიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევს გულის რევას, ღებინებას, ტკივილს მუცლის არეში, ნერვული სისტემის დაზიანებას. დიდი დოზით სოლანინის ორგანიზმში მოხვედრამ, შესაძლოა ადამიანის დაღუპვა გამოიწვიოს.



პომიდორში არსებული სოლანინი ნეიტრალდება მაღალ ტემპერატურაზე, ასევე მაღალ ტემპერატურაზე ნეიტრალდება ნებისმიერი სახის პომიდორში ნიტრატებიც. გამომდინარე იქიდან, რომ კიტრს არ ვამუშავებთ თერმულად და ისე მივირთმევთ და ამასთანავე კიტრში ნიტრატების კონცენტრაცია მეტად ხდება, მის მიღებამდე საჭიროა თავის დაზღვევა და მასში ნიტრატების რაოდენობის შემცირება, რაც სახლის პირობებში შესაძლებელია. ბოსტნეულში ნიტრატების შესამცირებლად მოათავსეთ ისინი წყალში და დადეთ სინათლეზე, რაც უფრო დიდი ხანი იქნება ბოსტნეული წყალში მით მეტი ნიტრატები გამოვა მისგან, წყალში ყოფნიდან 2 საათის შემდეგ, ბოსტნეულიდან ნიტრატების დაახლოებით 25 პროცენთი გამოვა, რაც არც ისე ცოტაა. კიტრის შემთხვევაში უმჯობესია გათალოთ ის, რადგან ნიტრატები ძირითადად მის კანში გროვდება.

# როგორ ვებრძოლოთ იოდის დეფიციტს




იოდის დეფიციტი ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალიან საშიშია.

ამიტომაც ექსპერტები რაციონის გადახედვას გვირჩევენ.ყურადღება უნდა გავამახვილოთ იოდის მაღალი შემცველობის მქონე პროდუქტებზე. ესენია: ზღვის თევზი, ზღვის პროდუქტები, კვერცხი, ხორცი და მარილი.

ამ მხრივ საინტერესოა ასევე წყალმცენარეები და თევზის ქონი. იოდი არის ნიორში, ლობიოში, წიწაკაში კიტრში, პომიდორში ბადრიჯანში, ყაბაყში, კომბოსტოსა და კარტოფილში. იოდშემცველ პროდუქტებს მიეკუთვნება პური, რძე და რძის პროდუქტები.

როგორც ექიმები გვირჩევენ, აღნიშნული პროდუქტების რაციონში ჩართვა ყველასათვის აუცილებელია, რადგანაც ადამიანის ორგანიზმში იოდი თავისთავად არ გამომუშავდება.

წლამდე ასაკის ბავშვებისთვის დღეში 50 მკგრ იოდია საჭირო, 1-7 წლამდე-90 მკგრ, 7-12 წლამდე-120 მკგრ, ხოლო 12 წელზე უფროსი ასაკისთვის 150 მკგრ იოდი. დეფიციტის განვითარებისას, შესაძლებელია ქოლესტერინის დონის გადახრა, გულის მუშაობის დარღვევა, მხედველობის სიმახვილისა და მეხსიერების ხარისხის დაქვეითება.

ასევე უარესდება კანის, თმის და ფრჩხილების მდგომარეობა, დარტყმის ქვეშაა ფარისებრი ჯირკვალი, ბავშვებისთვის იოდდეფიციტი საშიშია იმით, რომ ქვეითდება გონებრივი მუშაობის მაჩვენებლები და აღინიშნება სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები.

# პომიდვრის განოყიერების ხალხური საშუალებები

პომიდვრის კვება შეიძლება არამარტო მზა სასუქებით, არამედ ხალხური რეცეპტებით, ნატურალური, ბუნებრივი განოყიერების საშუალებებითაც.

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ საჭიროა კარგად ვიცოდეთ, რას ვაკეთებთ, რა ნიადაგია, ანგარიში უნდა გავუწიოთ კლიმატს და მცენარის მდგომარეობას.

მცენარის სწორი კვება, სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობებს, კარგ ყვავილობას, ნაყოფიერებას, ჯამრთელ და ხარისხიან მოსავალს.

როგორც წესი პომიდვრის პირველი გამოკვება ხდება ჩითილის გადარგვიდან ორი-სამი კვირის შემდეგ, ეს ეხება როგორც დახურულ, ისე ღია გრუნტში გამოზრდილ ჩითილებს. მთელი ვეგეტაციის პერიოდში 3-4 ჯერ კვებავენ – საშუალოდ 12-14 დღიანი ინტერვალით.

### გთავაზობთ პომიდვრის კვების რამდენიმე საშუალებას

* იოდით გამოკვება

იოდი არამარტო აჩქარებს ნაყოფი მომწიფებას, არამედ ფიტოფტოროზისგან თავის დაცვის (პრევენციის) ერთგვარი საშუალებაცაა.

**რეცეპტი:** 10 ლიტრ ნადგომ წყალში, აზავებენ 4 წვეთ იოდის ხსნარს (რომელიც ყველა აფთიაქში იყიდება), მიღებული ხსნარი დავუსხათ მცენარეს 1 ძირზე 2 ლიტრის გათვლით.

* ნაცრით გამოკვება

ფოთლოვანი ხის ნაცარი შეიცავს: 3,5% ფოსფორს, 10% კალიუმს და 30% კალციუმს. ხოლო წიწვოვანი ხის ნაცარი შესაბამისად: 2,5% ფოსფორს, 6% კალიუმს და 35% კალციუმს.

**რეცეპტი 1:** ნაცრის ხსნარს ასე ამზადებენ, 10 ლიტრ წყალში გახსნიან 1 ჭიქა (150-200 გრ.) ნაცარს მიღებულ სითხეს გავაჩერებთ ერთი კვირა და შემდეგ დავუსხავთ პომიდორს, დაახლოებით 0.5 ლიტრი 1 მცენარეზე.

### ნაცარი გამოიყენება მცენარეთა ფესვგარეშე კვებისთვისაც

რეცეპტი 2: ამისთვის იღევენ 300გრ. ნაცარს ხსნიან მას 3 ლიტრი წყალში, ადუღებენ 30 წუთი, შემდეგ აჩერებენ 5 საათი და უმატებენ 50 გრამ სარეცხ (72%) საპონს, მიღებულ სითხეს გაწურავენ და ასხურებენ მცენარეს.

* ქათმის ნაკელით (სკორე) გამოკვება

ქათმის სკორე მცენარეებზე, კომპლექსურ მინერალურ სასუქზე ნაკლებად არ მოქმედებს მასში ბევრია აზოტი და ფოსფორი.

**რეცეპტი 1:** ძალიან ეფექტურია წყალში გახსნილი ახალი სკორეს გამოყენება, ამისთვის 10 ლიტრიან ჭურჭელს 1/3 – ით ავსებენ ქათმის ახალი ნაკელით, შემდეგ ჭურჭელს პირამდე ავსებენ წყლით და აყენებენ 7-10 დღით ჰაერზე. ამის შემდეგ 0.5 ლიტრ მიღებულ სითხეს აზავებენ 10 ლიტრი წყლით (არ გამოიყენოთ გაუზავებლად) და კვლებს შორის ასხავენ დაახლოებით 5-6 ლიტრი 1მ2-ზე.

* ჟიჟა

ჟიჟა საქონლის ნაკელისგან მომზადებული მასაა, წილობრივად 1:1 შემადგენლობით.

**რეცეპტი:** 10კგ. ახალ ნაკელს დავასხამთ 10 ლიტრ წყალს და დღეში ორჯერ ვურევთ, 10-14 დღის მანძილზე. მასა აუცილებლად უნდა იყოს თავდახურული. მიღებულ სითხეს ვაზავებთ წყლით 1/10 პროპორციით (არ გამოიყენოთ გაუზავებლად) და ვიყენებთ 1 მცენარეზე 0.8-1.0 ლიტრის ანგარიშით.

* წუნწუხი

წუნწუხი პირუტყვის შარდია, რომელსაც აგროვებენ ბოსელთან სპეციალურად მომზადებულ ორმოში. საქონლის შარდი ძალიან მდიდარია აზოტით.

**რეცეპტი:** 1ლ წუნწუხი გააზავეთ 20 ლიტრი წყლით და დაუსხით მცენარეებს 1 ძირზე 1 ლიტრის გათვლით. გახსოვდეთ აზოტის ჭარბი დოზებით მიღების დროს მცენარეს უვითარდება ზედმეტი ვეგეტატიური მასა, რაც ამცირებს მოსავლიანობას.

ეს რა თქმა უნდა არ არის სრული ჩამონათვალი.

უნდა გავითვალსიწინოთ, რომ ჯიშები რომელსაც ვყიდულობთ, ითხოვენ გარკვეულ აგროტექნოლოგიას, შესაბამისად მცენარეთა დაცვის ან განოყიერების სქემას. ამიტომ როდესაც ვიყენებთ ხალხურ საშუალებებს, უნდა ვიცოდეთ რა ნივთირებების ჩანაცვლებას ვახდენთ აღნიშნულ სქემებში და რისი საჭიროება აქვს მცენარეს.

„აგროკავკასია" გისურვებთ წარმატებებს!

# 26 მაისის მნიშვნელობა

ივანე გომართელი (1875-1938), სოციალ-დემოკრატი, დამფუძნებელი კრების წევრი.

გაზ. „ერთობა“, 1919 წლის 20 მაისი, 109.

არიან ისეთი ბრწყინვალე დღეები, რომლებიც განსაკუთრებულის ასოებით უნდა აღნიშნონ დემოკრატიის ისტორიაში, განსაკუთრებულის სიმტკიცით უნდა აღიბეჭდონ დემოკრატიის მეხსიერებაში; განსაკუთრებული ზეიმითაც უნდა უხდებოდეს დემოკრატია მათს მოტრიალებას.

ერთი ასეთი დღეა ჩვენი დემოკრატიისათვის 26 მაისი.

ეს დღე სრულიათ, უცილოთ, უდაოთ ეკუთვნის ჩვენს დემოკრატიას, ეს დღე არის დღე ჩვენი სოციალ-დემოკრატიის გამარჯვებისა, საუკეთესო გამართლება მისი მიმართულებისა და ხაზისა ამ რევოლუციის მსვლელობაში.

ამ დღეს ჩვენმა სოციალ-დემოკრატიამ საქართველო გამოაცხადა დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკათ.

საქართველოში არ ყოფილა სხვა ძალა გარდა სოციალ-დემოკრატიისა, რომელსაც ამ ისტორიული აქტის ზიდვა შეძლებოდა. ეს ერთათ ერთი ძალა სოციალ-დემოკრატია იყო.

ეს უდიდესი აქტი უპირველესათ და უწინარეს ყოვლისა იყო რევოლუციონული; ასეთი ნაბიჯის გადადგმას მოითხოვდა ინტერესი რევოლუციისა. ამავე დროს ეს აქტი გახდა ეროვნული, – ინტერესი რევოლუციისა და ერისა ერთმანეთს შეხვდენ, შეუთანხმდენ და შეუკავშირდენ.

საქართველო გადიქცა იმ ქვეყანათ, რომელიც ენდო და გაჰყვა ჩვენს პარტიას. და ამიტომაც ოცდა ექვსი მაისი არის გამარჯვება რევოლუციის, გამარჯვება ჩვენი დემოკრატიის და გამარჯვება საქართველოს დემოკრატიის.

რაში გამოიხატა რევოლუციის გამარჯვება?

საქართველო წარმოადგენს დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელსაც მტკიცე საფუძველს უშენებს დემოკრატიულათ მოწვეული დამფუძნებელი კრება.

რაში გამოიხატა ჩვენი პარტიის გამარჯვება?

რევოლუციის სწორმა შეგნებამ და სისწორით აღებულმა მიმართულებამ ის მიიყვანა რევოლუციის ლოღიკურ დასკვნამდე – ეს არის დემოკრატიული რესპუბლიკა თავისი დამფუძნებელი კრებით.

რაში გამოიხატა ჩვენი დემოკრატიის გამარჯვება?

გზაჯვარედინზე მას მერყეობა არ გამოუჩენია, ის ენდო თავის ძველ ბელადებს, გაჰყვა მათ, არ აჰყვა გრძნობათა თამაშს და თავისი მარჯვენათი, თავისი სისხლით დაამყარა ჩვენში დემოკრატიული რესპუბლიკა.

26 მაისი არის ბრწყინვალე გამარჯვება ჩვენი პროლეტარიატისა. მან მთელ ქვეყანას დაანახვა სრული სიმწიფე თავისი კლასობრივი, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური შეგნებისა და გათვიცნობიერებისა.

ის მტკიცეთ ამოუდგა თავის პარტიას გვერდში, დაადასტურა მისი შეხედულება, მიიღო მისი გეგმა, გამოუცხადა მას სრული ნდობა და ამით გზა გაუკაფა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

რევოლუციის ინტერესმა მოითხოვა ჩვენში ქართველობის ეროვნულათ განთავისუფლება.

დღეს რევოლუცია ჩვენში გამარჯვებულია.

მართალია, ჩვენი რესპუბლიკის პირველ დღეებს თანა სდევდა ბევრი ნაკლი, მაგრამ ეს ნაკლი გაჰქრება, დემოკრატიული რესპუბლიკა კი დარჩება.

დღეს ქართველი ხალხი თავისუფალია და დამოუკიდებელი.

ჩვენ ვიყავით წინეთაც თავისუფალი, მაგრამ ეს თავისუფლება არაჩვეულებრივია, იშვიათი; ქართველი ერის ისტორიას მსგავსი რამ არ ახსოვს: რევოლუცია, თავისუფლება და დემოკრატია დღეს გაერთიანდნენ, შედუღდნენ.

საუკუნეთა უკან ჩვენ გვქონდა კულტურა, საქართველოში ყვაოდა ხელოვნება. მაგრამ ის საუკუნე, რომელსაც ახლა სჭედავს სისხლითა და მახვილით ჩვენი დემოკრატია რევოლუციის ქარიშხალში, ჩრდილავს გასულ საუკუნეებს. ოცდა ექვსი მაისი შესავალია ახალი ოქროს საუკუნისა.

საქართველოს ჰქონდა ბევრი შავი დღე.

და ყველა ესენი რომ შეაერთოთ, ოცდა ექვსი მაისის დღის ბრწყინვალებას მაინც ვერ დაჰფარავენ.

რა ვუყოთ, რომ დღევანდელი დღის ბრწყინვალებას სხვადასხვა ზომის შავი ლაქა აბნელებს.

ვინც შორს იხედება, მომავალში, მან იცის სიმოკლე შავი ლაქებისა, 26 მაისი წინ გვიშლის ისეთს შესაძლებლობას ისეთს მომავალს, რომლის მსგავსიც ქართველ ერს არასდროს არა ჰქონია.

ჩენ ბევრი ვიტანჯეთ, ბევრი ვიბრძოლეთ.

ჩვენ ბევრი ცრემლი, ბევრი სისხლი ვღვარეთ.

სამაგიეროთ ჩვენ ვისწავლეთ, ჩვენ შევიყვარეთ ძმობა, ერთობა და სოლიდარობა.

საქართველო სამშობლოა ბევრი ერისა.

ეს დღეც დღესასწაულია არა მარტო ქართველებისა, არამედ – საქართველოს ყოველი ერისა, საქართველოს მთელი დემოკრატიისა.

დემოკრატიის მტრები უკანასკნელ ღონეს იკრებენ ჩვენს დასაღუპავათ. გესლიანის ენით და ბინძური ხელით შურსა და მტრობას სთესავენ.

მაგრამ მზე ჩვენი მომავლისა მეტათ ცხოველია, მეტათ ბრწყინვალეა, რომ ბნელეთის მსახურთ მისი ჩაქრობა შესძლონ:

საქართველოს რესპუბლიკის ხალხთა შორის ძმობა, ერთობა და სოლიდარობა გახურებული რკინით იჭედება, დემოკრატიის სისხლით ისალტება.

ვაშა შეერთებული, სოლიდარული დემოკრატიის თავისუფალ, დამოუკიდებელ სამშობლოს!

იყო საქართველო წინეთაც სამშობლო, მაგრამ ეს სახელი არასდროს არ



ყოფილა იმდენათ წმინდა, იმდენათ საყვარელი, როგორც დღეს

ამ სამშობლოში ხალხი მონობის ბორკილებს, ბატონყმობის უღელს ატარებდა.

აქ იყო სამშობლო ბატონობის. აქ ბრძანებლობდენ ბატონები.

აქ სახელმწიფოს ჰმართავდნენ და აშენებდნენ ბატონები.

დღევანდელი საქართველო დემოკრატიის სამშობლოა.

ეს აღიარა ოცდა ექვსმა მაისმა, 26 მაისი დემოკრატიის ნებაა, დემოკრატიის დავაჟკაცება, მისი ძლევამოსილება.

ამ დღეს დემოკრატიამ გამოაცხადა: ამიერიდან მე ვარ ქვეყნის პატრონი, მე ვმართავ სახელმწიფოს!

ოცდა ექვსი მაისიდან დემოკრატია აშენებს ახალ სახელმწიფოს, დემოკრატიულ რესპუბლიკას.

დემოკრატიის ჯარი და გვარდია შეუსვენებლათ, აღფრთოვანებითა და გატაცებით იბრძვიან ყველა ფრონტზე და ჰმუსრავენ, ანადგურებენ ახალი რესპუბლიკის მტრებს.

იშვიათი სურათია კაცობრიობის ისტორიაში:

პატარა ქვეყანა, პატარა დემოკრატია ელვისებური სისწრაფით ევლინება ერთი ფრონტიდან მეორეს, მესამეს, ერთსა და იმავე დროს იბრძვის რამდენიმე სხვადასხვა ფრონტზე. ფრონტს ფრონტი ემატება, მაგრამ ეს მას არ აფრთხობს, ეს მას არ უტეხს გულს. პირიქით, მას ძალა ემატება და ხალისი ბრძოლისა, წყურვილი გამარჯვებისა უცხოველდება.

იმიტომ, რომ მას სწამს სიმართლე თავისის საქმისა, სიდიადე თავისი მიზნისა.

ვაშა ჩვენი დემოკრატიის წმინდა საქმეს, ვაშა იმის დიად მიზანს!

ამავე დროს რესპუბლიკის შიგნით ის აყალიბებს ახალ სახეებს ცხოვრებისას, ახალ ურთიერთობას.

ეს შინაგანი აღმშენებლობა მეტათ რთული, მეტათ ძნელისაქმეა; რასაც კიდევ უფრო აძნელებს და ართულებს არაჩვეულებრივი საერთაშორისო პირობები – შედეგი ომისა და რევოლუციისა.

ამიტომ ზოგჯერ საქმე არ კეთდება იმდენათ, რამდენათაც საჭიროა; არ კეთდება ისე, როგორც სასურველია.

ორივენი სცდებიან:

სახელმწიფო და მით უფრო ახალი სახელმწიფო სრულებით ახალი წყობილებით ერთ წელიწადს არსად არ აშენებულა. – ათეული წლებია ამისთვის საჭირო.

აი თუნდ საფრანგეთის მაგალითი. იქ დიდი რევოლუცია დაიწყო 1789 წელს და რესპუბლიკას კი მხოლოდ 1875 წელს ჩაეყარა საფუძველი.

ჯერ კიდევ დიდი შრომა გვმართებს, ბევრი ბრძოლა მოგველის ჯერ კიდევ წინ.

სრულ გამარჯვებამდე, დემოკრატიული რესპუბლიკის სრულ განმტკიცებამდე ჯერ კიდევ საკმაო მანძილი გვაქვს გასავლელი.

მაგრამ ტყუილათ ნუ მიეცემა მთელი სიხარულს, მოყვარე კი შიშს. მზე უკვე ამობრწყინდა საბოლოოთ, ის გვინათებს გზას და ჩვენ აღარ დავიბნევით.

შეიძლება ამ გზაზე ბევრმა წაიფორხილოს, ბევრი წაიქცეს, ბევრი დაეცეს განგმირული, ზოგი უღირსიც გამოდგეს, – რა ვუყოთ!

ოცდა ექვსი მაისი საქართველოს დემოკრატიის დავაჟკაცების საუკეთესო მოწმობაა: მან სრულის სიდინჯით, შეგნებით და წინდახედულობით გადასდგა ეს ნაბიჯი.

ოცდა ექვსი მაისი ჩვენი პარტიის ღრმა სულიერი განცდის ნაყოფია.

გადადგმა ამ ნაბიჯის მეტათ ძნელი, მძიმე, საშიში და პასუხსაგები იყო.

დამოუკიდებლობა კარგია, მაგრამ ის მეტათ მძიმე ტვირთია ჩვენს პირობებში.

შესძლებდა ჩვენი დემოკრატია ამ ტვირთის ზიდვას?

ეს ძნელი გამოსაცნობი იყო ჩვენი დემოკრატია დღემდე ზიდავს ამ ტვირთს პირნათლათ ასეთ საშინელ პირობებში.

ქურდობა, მექრთამეობა, ყაჩაღობა, დარბევა, ძარცვა-გლეჯა, ხოცვა?

გაიგონებთ საზოგადოებაში.

ყოველივე ეს გაქრება, წავა და სინამდვილეთ კი დარჩება განწმენდილი დემოკრატიული რესპუბლიკა.

გასაკვირალი ის კი არ არის, რომ ყოველივე ეს ხდება ჩვენს ცხოვრებაში, ის არის გასაკვირი და გასაოცარიც, რომ გაცილებით მეტი არ ხდება ამგვარი სისაძაგლე.

ვისაც დამოუკიდებლობა უნდა, მას უნდა ჰქონდეს სიმტკიცე, მოთმინება და მაგარი ნერვებიც.

ოცდა ექვს მაისში შედუღებულია ჩვენი ბრძოლა, ჩვენი ტანჯვა, ჩვენი იმედები და ჩვენი ოცნება. ბრძოლით მოვიპოვეთ ჩვენ ეს დღე, განთიადს სულიერი ტანჯვით შევხდით; დილამ ჩვენი იმედები გაამართლა, ჩვენმა ოცნებამ ფრთა გაშალა.

აზიასა და ევროპის შუა გაჭიმული საქართველო დიდი ხნიდან ევროპისკენ იყურებოდა.

მან გამოართვა აზიას ის, რისი მოცემაც ამ ძველ ქვეყანას შეეძლო, და ევროპას მიაპყრო თვალები, რომ წამოეღო ევროპიდან ის, რაც მას საუკეთესო ჰქონდა.

და საქართველომ წამოიღო ევროპიდან დემოკრატიზმი და სოციალიზმი. აზიასა და ევროპის შუა საქართველო ამყარებს დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომ მოიკრიბოს ძალღონე და პირველმა ააფრიალოს აქ დროშა სოციალიზმისა.

პატარა საქართველო უნდა გახდეს ლამპრათ ევროპასა და აზიას შუა. მან უნდა გაუნათოს აზიას გზა ევროპისკენ, მან უნდა გადაუშალოს აზიის ერებს საუკეთესო სურათი ხალხთა შორის ძმობის, ერთობის, სოლიდარობის და ასწავლოს ბრძოლა ბედნიერი მომავლისათვის.

დიდია მიზანი, დიდი პერსპექტივები, დიდი როლი იშლება ჩვენი თავის წინ.

დიდ შესაძლებლობას, დიდ ოცნებებს ატარებს ოცდა ექვსი მაისი.

ეს დღე საქართველოს ახალი ისტორია არის. ამ დღით იწყება ბრწყინვალე ფურცელი საერთაშორისო დემოკრატიის ისტორიაშიც: საერთაშორისო დემოკრატიის ერთმა წევრმა – საქართველოს დემოკრატიამ – დაამყარა რესპუბლიკა და გახდა მისი სრულუფლებიანი მესაჭე.

ამავე დროს ოცდა ექვს მაისს ჩვენმა დემოკრატიამ იკისრა მეტად დიდი პასუხისმგებლობა ისტორიის წინაშე: მან უნდა მოაწყოს და ჰმართოს, განაგოს ახალი, დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

ამ ახალ გზაზე ჩვენს დემოკრატიას არა აქვს გამოცდილება, მაგრამ ამ ნაკლს დაჰფარავს მხნეობა, სიმტკიცე, პირდაპირობა, სიმკაცრე და ზნეობრივი სისპეტაკე.

ჩვენი დემოკრატია უნდა ალიჭურვოს ლახვრით და განწმინდოს ჩვენი ცხოვრება ყოველგვარი სიმახინჯისგან.

ამას ავალებს ოცდა ექვსი მაისი ჩვენს დემოკრატიას და მის ბელადებს.

ქართველი ხალხი არ უნდა დაერიდოს არავითარ მსხვერპლს, არავითარ ხარჯს, ამოუდგეს დამფუძნებელ კრებას გვერდში და გასჭედოს სიმტკიცე ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისა. ამას ავალებს ჩვენს ხალხს ოცდა ექვსი მაისი.

# სარკის საიდუმლო: როდის და რატომ არ შეიძლება სარკეში ჩახედვა



მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში სარკესთან დაკავშირებით უამრავი ცრურწმენა არსებობს, რომლებიც ბევრ რამეში ჰგავს ერთმანეთს და ბევრითაც განსხვავდება.

თუმცა აქვთ მთავარი საერთო: სარკე ძლიერ ენერგეტიკას ფლობს, რომელიც ადამიანის ცხოვრებაზე ახდენს გავლენას.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ მართლმადიდებლობა არ აღიარებს ცრურწმენებს და არც სარკის ამგვარ იდუმალებას. სამაგიეროდ ბევრი მეცნიერი დარწმუნებულია, რომ სარკე უხილავი ველითაა გარშემორტყმული, რომ ზოგ სარკეს დადებითი ენერგია აქვს, ზოგს – უარყოფითი, განსაკუთრებით, თუ მის წინ ჩხუბი, ძალადობა და, მით უმეტეს, მკვლელობა მომხდარა.

### საინტერესო ფაქტი სარკეზე

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში მეცნიერებმა ორი გლობალური, მრავალდღიანი ექსპერიმენტი ჩაატარეს. ექსპერიმენტი ათასობით კილომეტრით დაშორებულ ადამიანებს შორის ტექნიკური საშუალებების გამოუყენებლად ინფორმაციის გადაცემას ისახავდა მიზნად. ცდაში 4 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა მსოფლიოს 12 ქვეყნიდან. ექსპერიმენტმა დაამტკიცა, რომ სარკის მეშვეობით შესაძლებელია აზრობრივი სახეების დისტანციური გადაცემა და მიღება.

სწორედ ამიტომ მეცნიერების ნაწილი და ექსტრასენსები ადამიანებს ურჩევენ, არ ჩაატარონ ექსპერიმენტები სარკის წინ: არ იმკითხაონ მისი დახმარებით, რადგან „სარკის დარტყმას“ ადამიანის მყიფე ენერგეტიკის დაზიანება შეუძლია.

ამასთან, როგორც ექსტრასენსები ირწმუნებიან, თუ ადამიანს ეცოდინება, როდის და რატომ არ შეიძლება სარკეში ჩახედვა, საფრთხეების თავიდან აცილებას შეძლებს.

ვნახოთ რა წესებს გულისხმობენ ექსტრასენსები და რას გვასწავლის ხალხური გადმოცემა.

### სარკეში არ უნდა ჩაიხედოთ მაშინ, როცა ტირით

საქმე ისაა, რომ სარკეს აქვს უნარი, აღიქვას და გადასცეს ინფორმაცია, შეიწოვოს სიტყვებისა და ემოციების ენერგია, რომლებსაც წარმოთქვამს ან განიცდის ადამიანი მასში ცქერისას. შესაბამისად, როდესაც აცრემლებული ადამიანი სარკეში იხედება:

სარკე იმახსოვრებს მის ცრემლებს, რაც შესაძლოა დამღუპველად აისახოს ადამიანის მომავალზე, ანუ, როგორც ძველები ამბობდნენ, გამოიტიროს საკუთარი ბედი;

ამ დროს ადამიანი სარკეს აძლევს თავის სასიცოცხლო ენერგიას, რაც უარყოფითად აისახება მის ჯანმრთელობაზე;

სარკის ზედაპირი იმახსოვრებს და ოჯახის სხვა წევრებს გადასცემს დამახსოვრებულ სიმძიმეს.

ამბობენ, რომ ყველაზე სახიფათოა, თუ სარკეს ცრემლის წვეთი დაეცემა, ვინაიდან ამ დროს ადამიანის ბიოველში ბზარი ჩნდება.

### სარკეში არ უნდა ჩაიხედოთ ღამით

ხალხური რწმენით, ღამით სარკეში ჩახედვა კატეგორიულად იკრძალება, განსაკუთრებით, შუაღამიდან განთიადამდე პერიოდში.

მიიჩნევა, რომ ამ დროს სარკის ენერგეტიკა ერთიორად ძლიერი ხდება და ამიტომ მის ზედაპირს შეუძლია ადამიანს ჯანმრთელობა და სასიცოცხლო ენერგია „გამოსწოვოს“.

### არასდროს ჩაიხედოთ გატეხილ სარკეში

ამბობენ, რომ თუ ადამიანი გატეხილ სარკეში ჩაიხედავს, სარკე „შეეცდება“ შელახული ენერგეტიკა მასში არეკლილი გამოსახულების ხარჯზე ალიდგინოს. ამის გამო ადამიანებს უფუჭდებათ განწყობა, სუსტდებიან და მძიმედაც კი ავადდებიან.

### არ ჩაახედოთ სარკეში ერთ წლამდე ბავშვი

ხალხური ცრურწმენით, ერთ წლამდე ბავშვის ენერგეტიკა ძალიან სუსტია, ამიტომ სარკე მარტივად და დიდი რაოდენობით იწოვს პატარას ენერგიას, პრაქტიკულად ბოლომდე შთანთქავს მარაგს. ეს კი მის ჯანმრთელობაზეც აისახება და ბედ-იღბალზეც.

შესაბამისად, მშობლებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ იმისთვის, რომ ბავშვმა არც თავად მიაღწიოს სარკემდე და არც თავად მიაკარონ მას.

### არ უყუროთ საკუთარ ანარეკლს დიდხანს

რაც უფრო დიდხანს იყურებით სარკეში, მით მეტი სასიცოცხლო ენერგია მიაქვს მას თქვენგან. მით უმეტეს, ავადმყოფობისას, როდესაც ადამიანის ენერგეტიკა ისედაც დასუსტებულია. წინაპრების რჩევით, ასეთ დროს ჯობს საერთოდ არ გაეკაროთ სარკეებს, თორემ თავს კიდევ უფრო ცუდად იგრძნობთ.

რაც საინტერესოა, სარკე, თურმე, „დიდი ხალისით“ შთანთქავს ქალურ ენერგიას, რის გამოც სპეციალისტები ქალბატონებს ურჩევენ, შეძლებისდაგვარად ნაკლები დრო მოანდომონ გაკოხტავებას.



# ფრენბურთი – უმაღლესი ლიგა

დამთავრდა საქართველოს 2021-2022 წლების ეროვნული ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის გათამაშება ფრენბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის, რომელიც სამ ეტაპად გაიმართა.

ჩვენ კარგა ხანია არ გვქონია კომუნიკაცია ფრენბურთის გულშემატკივრებთან, რაც გარკვეულ გარემოებასთან იყო დაკავშირებული. ქვეყანაში განვითარებულმა ეპიდემიოლოგიურმა სიტუაციამ, რაც კოვიდპანდემიით იყო განპირობებული, თავისი უარყოფითი გავლენა, ისევე როგორც სპორტის ყველა სახეობაზე, ფრენბურთზეც საკმაოდ მძიმე გავლენა იქონია. ამის გამო ჩაიშალა 2020-2021 წლის ეროვნული ჩემპიონატი, როცა ჩატარდა მხოლოდ გათამაშების ერთი ტურას. ფრენბურთის მოყვარულებს მხოლოდ იმას შევახსენებთ, რომ გათამაშება მიმდინარეობს იმავე სისტემით, როგორც აქამდე ტარდებოდა: საკვალიფიკაციო ეტაპის სამი ტური და ფინალური ეტაპის მეოთხე დასკვნითი ტური.

ჩვენმა ფრენბურთელებმა საკვალიფიკაციო ეტაპის სამივე ტურში კარგად ითამაშეს. სხვათა შორის, ერთ-ერთი ტურის გამართვა, მარტის თვეში, ყვარელშიც იყო დაგეგმილი, მაგრამ ისევ და ისევ კოვიდრეგულაციებთან დაკავშირებით, ეს ტურიც თბილისში გაიმართა. საკვალიფიკაციო ეტაპის მთავარი ამოცანა იყო უძლიერესთა ოთხეულში გასვლა, რასაც ჩვენმა ფრენბურთელებმა წარმატებით გაართვეს თავი და პლეი-ოფის საგზური

# ჩვენი გუნდი კვლავ მოწოდების სიმაღლეზეა

რი და ჩემპიონატის დასრულება კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების გამო შეუძლებელი გახდა.

ამ პერიოდში გარკვეული ცვლილებები მოხდა სპორტული კლუბის „ყვარელის" შემადგენლობაში. თაობათა ცვლისა და სხვა გარემოებების გამო ჩვენი გუნდი დატოვა რამდენიმე წამყვანმა ფრენბურთელმა. მიმდინარე 2021-2022 წლის ეროვნული ჩემპიონატისათვის, რომელიც გასული წლის დეკემბრიდან დაიწყო, გუნდი განახლებული შემადგენლობით მოემზადა. საბოლოო ჯამში შევძელით გუნდის სრულფასოვნად დაკომპლექტება და გათამაშებისათვის ნორმალურად მომზადება, რაც აისახა კიდეც საკვალიფიკაციო ეტაპისათვის დასახული ამოცანების შესრულებაზე.

ჩვენ ამჟამად არ შევუდგებით ცალკეული თამაშების განხილვასა და აღწერას. დამსახურებულად მოიპოვეს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გათამაშების პროცესში სერიოზული სირთულეების წინაშე აღმოვჩნდით. კერძოდ, მძიმე ტრავმებისა და ავადმყოფობის გამო გამოგვაკლდნენ ძირითადი შემადგენლობის წამყვანი ფიგურები გიორგი შიოშვილი, რეზო წიკლაური, ნიკა ჯანელიძე, ვანო დვალი. ასე, რომ მესამე ტურში, ფაქტობრივად, სათადარიგო შემადგენლობით ვითამაშეთ. ასეა თუ ისე,დასახული ამოცანა შესრულებულია და ჩვენი გუნდი ფინალურ ეტაპზე გასულია.

საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ გამოვლინდა ოთხი უძლიერესი, რომლებიც ფინალურ შეხვედრებში გაითამაშებენ საპრიზო ადგილებს. ესენია თბილისის, ქუთაისის, ცაგერისა და ყვარლის ფრენბურთელთა გუნდები.

**ალიმან ლაფაჩიშვილი,**
**გუნდის მწვრთნელი**



# ბავშვთა ნახატების გამოფენაზე

23 მაისს, ყვარლის ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში მოეწყო ყვარლის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ნახატების გამოფენა. გამოფენის ავტორი და ორგანიზატორი ამავე სკოლის ხელოვნების პედაგოგი მარინა ზანდარაშვილია, რომელიც მრავალი წელია ბავშვებს ხატვის ნიჭსა და ინტერესს ულვიძებს. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ბევრი საინტერესო ნამუშევარი, როგორც უმცროსი, ასევე უფროსი ასაკის მოსწავლეების. როგორც მარინა ზანდარაშვილმა აღნიშნა: ეს გამოფენა ერთგვარი შეჯამებაა მისი და მისი მოსწავლეების ბოლო პერიოდის ნამუშევარების.

# თამარ მეფე

## 14 მაისი წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის ხსენების დღე



საოცარია კლდეში ვარძია, რომელსაც ამშვენებს თამარ მეფის და მამამისის, გიორგი მეფის გამოსახულება. ვარძია ცის და დედამიწის შუამავალია, თითქოს მათ შორის ამყარებს მშვიდობას, გარშემო ბუნების უხილავ ძალის, თითქოს ისტორიას ვხედავთ მისი რეალური ცხოვრებისა, ბრძოლის, მშვიდობის, შრომის, რომელსაც თან სდევს ძლიერი სიყვარული, სიყვარული ბუნების, ღმერთის, თამარ მეფის.

სუფთა ჰაერი და სიო, ისმის ხმა: –ს! ს! ს! – გაცოცხლებთ, დაფრინავენ ლაღად ნაირნაირი ფრინველები, ისმის ხმა ჭიკჭიკის: – ჭიკჭიკ! – ლაჟვარდოვანი ცის ცქერით ისვენებთ, აქ ყველა დრო გიზიდავს, როგორც მშობლიური კერა. ვარძია კლდეშია გამოკვეთილი, დადიხარ კლდეზე, ქვის საფეხურებზე ამაყად, თითქოს ფრინავ, თავისუფლება გალაღებს, გაღმერთებს, იმიტომ, რომ ეს თავისუფლება გვაჩუქა ჩვენმა თამარ მეფემ – ჩვენ გვეპატიჟება, გვმასპინძლობს თამარ მეფე – მობრძანდითო, – ყოველ სადარბაზოში დაგხვდება ამალით ქართული დროშით: – თამარის დროშა გაშალეს, – გვასწავლის პოეტი გრიგოლ ორბელიანი! – ფიცდადებულები – ვფიცავთ! დავიცავთ საქართველოს და მღერიან სიმღერას – საქართველო! – თითქოს ჩენც მათთან ერთად გვაქვს დადებული ფიცი, ვმღერით ჰიმნს: – ჩვენი ხატია სამშობლო!

თამარ მეფის გადაკალმული წარბები, მისი უზომოდ ჭკვიანი, თბილი, კეთილი, მოსიყვარულე, მრავლისმთქმელი, მრავლისმჭვრეტელი, მრავლისმეტყველი, ღვთაებრივი ცოცხალი თვალები გვიცქერის, გვეფერება, გვეალერსება იმიტომ, რომ მისთვის სტუმარი დიდი პატივია, თითქოს მისი ტკბილი, ხავერდოვანი, წკრიალა ხმა – მიყვარხართ, ჩემო ძვირფასებო – ექოდ გვესმის, სასწაული თვალის დამატყვევებელი, თვალის მომჭრელი სიყვარულით თამარ მეფე სხივებს გვაფრქვევს, გვათბობს მზესავით. ეს ნათება დღე და ღამე ძლიერდება მთვარის, ვარსკვლავების, ცისარტყელას ნათებასთან ერთად, გვამდიდრებს, იმიტომ, რომ ეს ნებაა ღვთის, ღმერთის, ბუნების. შორიახლოს თვალს მოგჭრით ბრწყინვალებით მისი დიდებული გრძელი მეფური თეთრი კაბა, თავიდან ბოლომდე შემკულია ძვირფასი სამკაულის თვლებით – ლალის, ზურმუხტის, ფიანიტის, ბრილიანტის.

ღმერთო, რა ბრძენია, რა ლამაზია, სიამაყე, ლეგენდა, უკვდავი, ქალღმერთი, დედა, მეუღლე, თამარ მეფე! – ისმის მარად სტუმრებისგან!

თამარ მეფეს ფრესკიდან კი არ აღიქვამ როგორც მოხატულს, არამედ ყოველ წამს ნამდვილ ჩვენნაირ ცოცხალს, ნაზს, მებრძოლს, მთავარსარდალს, გმირს, ღვთაებრივ ქალს, დედას, რომელიც სისტემატურად გვასწავალის, გვარიგებს, გვაფხიზლებს, გვირჩევს, გვესაუბრება, გვხელმძღვანელობს: – იცხოვრეთ სიბრძნით! ღმერთო, დაიფარე საქართველო და მსოფლიო, იმრავლეთ, – გვლოცავს და ეს მისი ლოცვა გვესმის მუდამ, მარად! –

ისმის ზარების ხმა – მადლობა ღმერთს, რომ არსებობდა თამარ მეფე! – ისმის მარად ხმები: – თამარ მეფე ჩვენთან იყო, არის და იქნება! – თამარ მეფე, გვითხარით თქვენი ცხოვრება! არ ცხრება ხალხი! – დიდება თამარ მეფეს! დიდება საქართველოს და მსოფლიოს! მშვიდობა საქართველოს და მსოფლიოს.

**მერი პატარქალიშვილი**

# ვაზის კულტურა და მისი განოყიერების (კვებების) სისტემა

**ვაზის კულტურის სახალხო – სამეურნეო მნიშვნელობა**

მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოს მთელი არსებული ისტორიის მანძილზე თვალსაჩინო როლს ასრულებდა საქართველოს მოსახლეობის მატერიალური დონის ამაღლებაში.

ვაზიდან მიღებულ პოროდუქცია მრავალი დანიშნულებით გამოიყენება. მისგან მიიღება სუფრის ყურძენი, რომელშიც შაქარი 18-25 % აღწევს, ძველთაგანვე ითვლება საუკეთესო დიეტურ სამკურნალო და გემრიელ საკვებად.

ყურძნის წვენი აწესრიგებს ორგანიზმში ფიზიოლოგიურ პროცესებს, ხელს უჭყობს სისხლის ნორმალურ მიმოქცევას, საჭმლის მონელებას. დადებითად მოქმედებს კუჭის, თირკმელების და ფილტვების დავადებებზე, ბრონქიტიან და ნერვიულ ავადმყოფობებზე.

ყურძნისგან ამზადებენ აგრეთვე ქიშმიშს, რომელსაც წარმატებით იყენებენ საშაქარლამო წარმოებაში. ყურძნის წვენი და ბადაგი, რომლებიც ძვირფას დიეტურ საკვებად ითვლებიან, ხელს უწყობენ ბავშვთა ორგანიზმის გამაგრებას, და საკვების წესიერად მონელებას. ორგანიზმს მატებენ სიხალისეს ბადაგისაგან მზადდება ძვირფასი პროდუქტები: თათარა, ჩურჩხელა, ტყლაპი, მურაბა, ჟელე, მარმალადი და სხვა.

ყურძნის პროდუქციის ყველაზე ძვირფას და სასარგებლო სახეობას ღვინო წარმოადგენს. ის ორგანიზმს ანიჭებს სიხალისეს, მხნეობას, გამძლეობას, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, გულის მუშაობას, კუჭის ნორმალურ მოქმედებას. მაგრამ ღვინის გადაჭარბებული რაოდენობით მიღება მავნებელია, რადგან იწვევს ორგანიზმის ფუნქციათა დარღვევას, გულის მუშაობის და მთელი ორგანიზმის მუშაობის შესუსტებას, ზოგ შემთხვევაში მისი მოწამვლაც კი.

ყურძნის გამოწურვის შემდეგ დარჩენილი ჭაჭა გამოიყენება სპირტისა და არაყის გამოსახდელად, რომელთაც იყენებენ მედიცინაში და კვების მრეწველობაში. მისი წიპწისაგან ხდიან ძვირფას ენოტანინს და ზეთებს, რომელიც გამოიყენება პარფიუმერიაში და ყავის დასამზადებლად, ხოლო მისი ანასხლავი ქაღალდის დასამზადებლად.

**ვაზის კულტურის კვების თავისებურებანი**

ტროპიკულ ქვეყნებში ვაზი მარადმწვანე მცენარეს წარმოადგენს და სუბტროპიკული და კონტინენტური ჰავის პირობებში ახასიათებს ფოთოლცვენა. ის მრავალწლიანი მცენარეა, ერთსა და იმავე ადგილზე გაშენებულია 30-40 წლის განმავლობაში, რის გამოც ძლიერ აღარიბებს ნიადაგს საკვები ელემენტებით.

ამასთან ერთად მისი ცალკეული ჯიშები არაერთნაირ მოთხოვნილებას იჩენენ როგორც კვების, ისე გარემო პირობების მიმართ. აქედან გამომდინარე ყურძნის მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად და ვაზის განოყიერების სისტემის სწორად წარმართვისათვის, საჭიროა კარგად ვიცოდეთ მისი ბიოლოგიური თავისებურებები.

**საკვები ელემენტების სიმცირისა და სიჭარბის სიმპტომები ვაზისათვის**

**აზოტი**

აზოტს ვაზის ყველა ორგანო შეიცავს დაახლოებით 1-3% რაოდენობით. ის დიდი რაოდენობით შედის ფოთლებში ყლორტებსა და მზარდ ნაწილებში. ამ ელემენტის სიმცირის შემთხვევაში მკვეთრად ეცემა ყურძნისა და ღვინის ხარისხი.

აზოტის სიმცირე პირველ რიგში შეიმჩნევა ქვედა ფოთლებზე, რომელთაც ბევრად უფრო წვრილი აგებულების არიან ვიდრე ნორმალური ფოთლები. ამასთან ერთად ისინი იღებენ მომწვანო მოყვითალო შეფერვას, ყლორტები სუსუტად იზრდება და გააჩნიათ მოკლე მუხლთშორისები.

აზოტით შიმშილის დროს მისი ფოთლების უმრავლესობა ქლოროზით ავადდება, ალაგ-ალაგ ამავე ფოთლებს გადაჰკრავს წითელი შეფერილობა, დაძარღვაც ყვითელი შეფერვისაა. ზოგიერთი ყლორტები წყვეტენ ზრდას.

ვაზისათვის საზიანოა აზოტით ჭარბი კვებაც, განსაკუთრებით მაშინ როცა ირღვევა თანაფარდობა ამ ელემენტისა ფოსფორთან კალიუმთან რკინასთან და სხვა ელემენტებთან. მართალია ამ შემთხვევაში ვეგეტატიური ორგანოები მძლავრად იზრდებიან, მაგრამ ინვითარებენ განსაკუთრებით მცირე რაოდენობით მტევანს, ამასთან ერთად ყურძენი გვიან მწიფდება, გამოირჩევა დაბალი შაქრიანობით.

აზოტის ჭარბი კვების პირობებში ფოთლები შეფერილია მუქ მწვანედ, ყლორტებიც მწვანე შეფერილობისაა და მძლავრად იზრდებიან, ადვილად ავადდებიან და ზიანდებიან მავნებლებისაგან. საგრძნობლად ეცემა ვაზის გვალვა და ყინვა გამძლეობა, ვინაიდან შემოდგომით ხანგრძლივდება ვეგეტაცია, ყლორტები ვერ ასწრებენ მომწიფებას და ზამთარში ადვილად იყინებიან.

ძალზე დაბალია მიღებული ყურძნისა და ღვინის ხარისხი. სასუფრე ყურძნის მარცვალი ადვილად სკდება და ლპება. ძალზე მცირდება მისი შენახვის ხანგრძლიობა. აზოტით მოჭარბებული კვებისას ღვინო მასალაში გადადის საკმაოდ დიდი რაოდენობით ცილოვანი შენაერთები. ასეთი ღვინო ცუდად იფილტრება და ადვილად იმღრევა, რის გამოც მეტად დაბალია მისი სასაქონლო ღირებულება. აღნიშნულს ემატება ისიც, რომ ასეთი ღვინო ადვილად ავადდება განსაკუთრებით თაგვის გემოთი.

**ფოსფორი**

ფოსფორის შემცველობა ვაზის ორგანოებში 1%-მდე აღწევს. ის ზრდის ვაზის ავადმყოფობათა მავნებლებთა, გვალვა და ყინვა გამძლეობას. ფოსფორის სიმცირის დროს სუსტად ვითარდება ვაზის ფესვთა სისტემა და მიწისზედა ორგანოები, ძლიერ მცირდება გენერაციული ორგანოების წარმოქმნა და ფორმირება, ყვავილობისა და მსხმოიარობის პროცესი.

ვაზი ინვითარებს მცირე ზომის მუქ მწვანედ შეფერილ ფოთლებს, რომლებიც ყლორტის ქვედა იარუსზე იღებენ ალისფერ შეფერილობას. ძლიერი დეფიციტის შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფოთლის ზოგიერთი მონაკვეთის ხმობას.

ფოსფორით ნორმალური კვება ადიდებს მოსავლიანობას, აჩქარებს ნაყოფების მომწიფებას, ზრდის შაქრების შემცველობას და აუმჯობესებს ღვინის ხარისხს. ამ ელემენტით მოჭარბებული კვება მნიშვნელოვნად ამცირებს სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობას, ამცირებს სავეგეტაციო მასის რაოდენობას, რაც მოსავლის მნიშვნელოვანი შემცირების მიზეზი შეიძლება გახდეს.

**კალიუმი**

კალიუმი საერთო შემცველობა ვაზის ორგანოებში 2 %-მდეა. მისი ნაკლებობისას ვაზის ინვითარებს დიდი რაოდენობით წვრილ ფოთლებს, რომლთა კიდეები კალიუმის დეფიციტის პირობებში მთელ გარშემოწერილობაზე იღებს ყავისფერ შეფერილობას და ხმება, რაც არის ამ ელემენტის სიმცირის სიმპტომი „კიდეების სიდამწვრე".

ზოგიერთი ქვედა იარუსის ფოთოლი იღებს შვინდისფერ შეფერილობას და ისინიც ხმებიან. ვაზის ყლორტები ინვითარებს მოკლე მუხლთშორისებს და მრავალ წვრილ ნამხრევს. ყურძნის მარცვლი უჯრედის კედლები თხელდება უჯრედანას შემცველობის შემცირების გამო, ამიტომ უხვნალექიან პერიოდში ან ჭარბი რწყვის დროს მარცვლის კანი ადვილად სკდება და ლპება. მცირდება მასში შაქრიანობა, იზრდება მჟავიაანობა, რის შედეგადაც ეცემა ღვინის ხარისხი.

კალიუმით ნორმალური კვება ხელს უწყობს ქსოვილების უკეთ დიფერენცირებას, და საკვებ ნივთიერებათა ცვლის პროცესს. ადიდებს ვაზის გამძლეობას არახელსსაყრელი პირობების მიმართ.

**კალციუმი**

კალციუმი აუმჯობესებს ღვინის ხარისხს, ზრდის ყურძენში შაქრიანობას, რის გამოც უფრო მაღალი ხარისხის ღვინო მზადდება. ის ღვინოს მატებს სიხალისეს, აუმჯობესებს ბუკეტს. ამ ელემენტით ჭარბი კვება იწვევს ვაზის დავადებას ქლოროზით.

**მაგნიუმი და რკინა**

ზოგიერთ ნიადაგზე ვაზი განიცდის მაგნიუმის და რკინის ნაკლებობას, რაც

**გაგრძელება მე-7 გვ.-ზე**



**ვერა, ვერ ძლიე, სიკვდილო!...**

ცხოვრება გაუთავებელი ჭიდილია სიკვდილ-სიცოცხლეს შორის. ამ ცოდომადლიან ფენომენს კაცი ვერსად წაუვა. ერთი ეს არის, რამდენჯერაც ულვთოდ იმარჯვებს სიკვდილი სიცოცხლეზე, ეს უკანასკნელი უფრო შთამბეჭდავი ხდება, მეტადრე მაშინ, როდესაც „კაიყმის'' ხვედრთან გვაქვს შეხება. ბედისწერის სიმუხთლეს თუ დაარქმევს კაცი გიორგი (გია) იმერლიშვილის მოულოდნელ წასვლას. ყვარლელთა და არამარტო ყვარლელთათვის, საამაყო ვაჟკაცი იყო გიორგი. ყველასათვის მისაღები, ადამიანურ ურთიერთობებში სასურველი, მაღალი პროფესიონალიზმისა და მოქალაქეობრივი შეგნების მქონე, სახელმწიფო სამსახურისთვის წმინდად მისადაგებული...ბავშვობიდანვე ეტყობოდა,

# გიორგი იმერლიშვილის გახსენება

## გილოცავთ გია, უფლის ნათელი სხივი ანათებდეს შენს სამუდამო განსასვენებელს

რომ ქალაქსა და სამშობლოს მისი სახით კიდევ ერთი კარგი შვილი და „კაიყმა''ეზრდებოდა. სწავლაში, სპორტში, საზოგადოებრივ აქტიურობაში გამორჩეული ყმაწვილი იყო გია იმერლიშვილი, ზრდილი, თავაზიანი, ოჯახის, დედ-მამის, ახლობლების, მასწავლებლების სიამაყე. მოლოდინიც ხომ არავის გაუცრუვა თავის კაიკაცობისა--ჟამთა სირთულის მიუხედავად, უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, იმ სამსახურში ჩადგა და დამკვიდრდა, რომელიც ქვეყნისა და სახელმწიფოსათვის თავდაუზოგავ გარჯას, რაინდობასა და სიჩაუქეს, ალალმართლობასა და სინდისიერებას მოითხოვს. ყვარლელი ვაჟკაცი თავიდანვე არავის დარჩენია ყურადღების მიღმა, დახვეწილი, ფიზიკურად და სულიერად მიმზიდველი,ენერგიული და ულალატო ახალგაზრდა, დროის მოკლე მონაკვეთში დაწინაურდა სახელმწიფო დაცვის სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელის თანამდებობაზე. ისე მიაღწია კარიერულ წარმატებას, იოტისოდენადაც არავის შეპარვია ეჭვი მის ღირსებაში, პატიოსნებაში, მამულიშვილობაში, ყვარლელობაში. ამის დასტური გახლავთ გიორგი იმერლიშვილის გამოთხოვების დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვები: «ჩვენ დავკარგეთ შესანიშნავი ადამიანი, მოქალაქე, მაღალი რანგის პროფესიონალი, გამორჩეული და ერთგული მეგობარი, კარგი ქართველი კაცი, საკუთარ სამშობლოზე შეყვარებული და მისი უანგარო მსახური. ის ყოველთვის იქნება მისი კოლეგებისა და მეგობრებისათვის მაგალითი იმისა, როგორ უნდა საქმის კეთება დიდი პროფესიონალიზმით და ამავე დროს დიდი სიყვარულით.»დიახ, სანდო, საჭირო და საიმედო კაცად ეგულებოდათ ქვეყნის მესვეურთ და, რომ არა ის საბედისწერო დღე და ბრმა შემთხვევა, დღეს გიორგი იმერლიშვილი დღევანდელი ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრუქტურაში წამყვან პოზიციაზე იდგებოდა. იდგებოდა მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს სიყვარულით, თავდადებით, გულისხმიერებით, ყვარლელი კაცის დამახასიათებელი პატიოსნებითა და ერთგულებით, იდგებოდა ისე, როგორც დიდი ილიას მიწაზე ამოზრდილ მუხის ამონაყარს რომ ევალება და ეკადრება. ქართული სახელმწიფოს სიძლიერისათვის ბრძოლისა და უსაფრთხოების ციხე-სიმაგრეზე ერთი კარგი ბურჯი იქნებოდა. ვაგლახო წუთისოფელო, რატომ უნა ვამბობდეთ თხრობის ამ ფორმით კარგ ვაჟკაცსა და საიმედო ადამიანზე? დღეს გიორგი იმერლიშვილის კაიკაცობის ნიადაგზე ახალი ყლორტები ჩნდებიან, იზრდებიან და მშვენდებიან, რომლებმაც მისი სახელიანი გზა უნდა გააგრძელონ და უფლის მადლით მოსილ კვალს გაყვნენ. ასეთია ცხოვრება და მისი სევდიანი პროზა, ამიტომაც კაიყმის გარდასახვა ბევრჯერ სჯაბნის სიკვდილს და ეს ტიალიც, ზოგჯერ ვერც იმარჯვებს სიცოცხლესთან ჭიდილში. ამგვარი შინაარსის მქონეა ერთი ძალზე კარგი ქართველი ვაჟკაცის--გიორგი იმერლიშვილის მოკლე ქრონომეტრაჟის, მაგრამ მრავალთათვის მისაბაძი და სასურველი სიცოცხლის ეპიზოდიც. დაბადების დღეს გილოცავთ გია, უფლის ნათელი სხივი ანათებდეს შენს სამუდამო განსასვენებელს.

**ოთარ გურასპიშვილი**

# ალიკა სეფაშვილის გახსენება



მოვიდა ივნისი, დაბადების დღეს გილოცავ მამა, მეორედ ვხვდებით ამ დღეს შენს გარეშე. როგორ გვიჭირს უშენობასთან შეგუება. ვერასოდეს წარმოვიდგენდით, რომ ასე ნაადრევად დატოვებდი წუთისოფელს სიცოცხლეზე და ოჯახზე უზომოდ შეყვარებულო ადამიანო! შენისთანა ოჯახის ერთგული მამა და პაპა, ალბათ, ათასში ერთ ადამიანს თუ ეყოლება. უდიდესი ტკივილით, შენი შვილების უნახავად წახვედი ამ წუთისოფლიდან. ველარ ვუძლებ დედას სევდიან თვალებს. რა ცარიელია ეს სამყარო უშენოდ, არც დრო კურნავს ტკივილს, არც სხვის ნუგეშს არ აქვს ფასი. გვიყვარხარ და ყოველდღიურად გვენატრები.

ნათელი ედგეს შენს სამუდამო სასუფეველს.

**შენი ოჯახი**

**სსიპ ილია შავერდოშვილის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ენისლის საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს თამარ ხახუტაშვილს შვილის მარინა ნერსეზაშვილის გარდაცვალების გამო.**

**ენისლის საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი მწუხარებას გამოთქვამს ამავე სკოლის ყოფილი პედაგოგის თამარ ჭუნაშვილის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.**

**ლევან გამსახურდია და მანანა თვალიაშვილი ოჯახით მწუხარებაში თანაუგრძნობენ ბონდო კოკორაშვილს შვილის ზურა კოკორაშვილის გარდაცვალების გამო.**

# ვაზის კულტურა და მისი განოყიერების (კვების) სისტემა

**დასაწყისი მე-6 გვ.-ზე**

ხშირ შემთხვევაში ქლოროზით დაავადების მიზეზი ხდება და საგრძნობლად ამცირებს მიღებული ყურძნის და ღვინის ხარისხს.

**მიკროელემენტები**

ბორის სიმცირე უარყოფით გავლენას ახდენს ვაზის ახალგაზრდა მოზარდი ორგანოების ზრდა-განვითარებაზე და მსხმოიარობაზე, ნაყოფებში შაქრების შემცვლობაზე. განსაკუთრებით იჩაგრება ფესვისა და ღეროს ზრდის წერტილები, რომლებიც ძლიერი დეფიციტის პირობებში ხმებიან და შემდგომში ხელსაყრელ პირობის დადგომისას კვლავ ანახლებენ ზრდას და 2-3 ყლორტს და ათეულობით ფესვვებს წარმოქმნიან.

დავადებული მცენარეები მცირე რაოდენობით მტევნებს და ყვავილებს ინვითარებენ, რომელთა მტვრის მარცვალს არ გააჩნია განაყოფიერების უნარი, რის გამოც მტევანზე ძალზე შემცირებულია გამონასკვის პროცენტი და გაზრდილია წვრილი და განუვითარებელი მარცვლების რიცხვი. გარდა ამისა ბორის დეფიციტის პირობებში ცხელ ამინდში ადგილი აქვს ვაზის ნეკროზით დაზიანებას რომელიც, წარმოადგენს ფიზიოლოგიურ პროცესს და არა სოკოვან დავადებას.

თუთიის სიმცირის დროს პირველ რიგში იჩაგრება და მუხრუჭდება ვაზის ახალგაზრდა ორგანოების ზრდა–განვითარება. მისი ფოთლები იღებენ მოთეთრო მოყვითალო მომწვანო შეფერილობას. შემდგომში შიმშილის გახანგრძლივებისას როგორც ზედა ისე შუა იარუსის ფოთლებზე ვითარდება ძარღვთშორისი ქლოროზი და დავადებული ადგილები იწყებენ ხმობას. მტევანზე ვითარდება დიდი რაოდენიბით დეფორმირებული მარცვლები.

მანგანუმის სიმცირის შემთხვევაში ვაზის ზრდა ჩერდება, მაგრამ ზრდის წერტილები არ ზიანდება. ის აპირობებს ზედა იარუსის ფოთლების ძარღვთშორიშების ქლოროზს, რომლის დროსაც ფოთოლს გააჩნია მოყვითალო ან მოყვითალი-მოწითალო შეფერილობა.

ქლოროზით დავადებული ადგილები ზოლებად არიან განლაგებული ფოთლის ფირფიტაზე. თუ ამ ელემენტით შიმშილი დროულად არ იქნა აღკვეთილი, ადგილი აქვს ქლოროზით დავადებული ქსოვილების მთლიანად გახმობას.

მოლიბდენის სიმცირე აპირობებს მცენარეში აზოტის ცვლის დარღვევას, რის გამოც ზედა იარუსის ფოთლების ძარღვებშორისებში თავდაპირველად შეინიშნება ღია მწვანე ან მკრთალი ყვითელი შეფერვა, რომლებიც შემდგომში მთლიანად ქლოროზული და ალაგ-ალაგ ამობურცული ხდებიან და ხმებიან. ფოთლის კიდეები ზემოთ არის ამოხვეული.

ვაზზე მიკროელემენტების დეფიციტის აღმოსაფხვრელად ყველაზე სწრაფმომქმედ და იაფფასიან ღონისძიებას მიკროსასუქებით ფესვგარეშე გამოკვებაა წარმოადგენს.

ორგანული სასუქებისა და მაკრო და მიკროელემენტების საორიენტაციო ნორმები ვაზის კულტურისათვის

მევენახეობაში სასუქების ეფექტურობის გაგადიდებისათვის დიდი ნიშვნელობა ენიჭება საკვები ელემენტებს ნორმების ზუსტად დადგენას, რომლებიც ცვალებადობს ვაზის ბიოლოგიური თავისებურებების, ხნოვანების, ნიადაგის ნაყოფიერების, კლიმატური პირობების გამოყენებული სასუქების ფორმების, გასარწყავების და ვაზის დატვირთვის ხასიათის მიხედვით.

ჩამოთვლილი მახასიათებლების შესაბამისად მსხმოიარე ვენახებისა და სადედეების გასანოყიერებლად გათვალისწინებულია ორგანული და მინერალური სასუქების დიფერენცირებული ნორმები. ორგანული სასუქებიდან ნაკელი საჭიროა გამოყენებული იქნეს აღმოსავლეთ საქართველოს ურწყავ ვენახებში 20-25ტ, სარწყავებში 25-30 ტ, ხოლო დასავლეთ საქართველოს ვენახებში 30-40ტ 3-4 წელიწადში ერთხელ.

მინერალური სასუქების ნორმების დიფერენცირება უმჯობესია მოხდეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რეგიონების მიხედვით სარწყავი და ურწყავი პირობებისათვის.

აღმოსავლეთ საქართველოს კახეთის რაიონებისა ვენახებისათვის რეკომენდირებულია აზოტის – 45-60-90 კგ შეტანა, ფოსფორის 60-90 და კალიუმის 40-90კგ/ჰა კახეთისა და ქართლის სარწყავი ვენახებისათვის აზოტი 60-90-120; ფოსფორი 60-90-120; კალიუმი 60-90კგ/ჰა. დასავლეთ საქართველოს ზომიერ ნალექიან რაიონებში აზოტი შეიტანება 90-120-150, ფოსფორი 90-120, კალიუმი 60-90 კგ/ჰა.

აღმოსავლეთ საქართველოს ფილოქსერა გამძლე ვაზის სადედეებში აზოტიანი სასუქი შეტანილი უნდა იქნეს 120-150-160 კგ/ჰა, ფოსფორი 90-100-120კგ/ ჰა, კალიუმი 60-90 კგ/ჰა:სანერგეებში 90 90 C60, დასავლეთ საქართველოს სადედეებში აზოტი 120-150-150, ფოსფორი 100-220, კალიუმი 90 კგ /ჰა სუფთა საკვები ნივთიერების ანგარიშით.თანამედროვე პირობებში მევენახეობაში სასუქების სისტემტური გამოყენებისას რეკომენდირებულია უფრო ზომიერი ნორმების შეტანა, ვინაიდან ვაზის მიერ საკვები ელემენტების პროდუქტიული გამოტანა ბევრად დაბალია შეტანილ რაოდენობაზე, ამიტომ სასუქების მაღალი ნორმების გამოყენებას მივყავართ ვაზის ორგანოებში საკვები ელემენტების ჭარბი როდენობით დაგროვებამდე, რაც უარყოფითად მოქმედებს ვაზის შემდგომ კვებაზე.

**მსხმოიარე ვენახის განოყიერება**

მსხმოიარე ვენახში სასუქების ნორმები დაზუსტებული უნდა იქნეს ნიადაგის აგროქიმიური მაჩვენებლების, ტენით უზრუნველყოფის, მცენარის მდგომარეობის, ფოთლებში საკვები ელემენტების შემცველობის, წინა წლის მოსავლის დონის და ხარისხის მიხედვით. თუ პლანტაჟის დროს შეტანილია ნაკელი, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები, მსხმოიარობის დასაწყისში რეგულარულად შეაქვთ მხოლოდ აზოტიანი სასუქები. ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები შეაქვთ ნიადაგში ფოსფორისა და კალიუმის შემცველობის მიხედვით: ძალიან დაბალი უზრუნველყოფისას 2-4 წლის შემდეგ, დაბალი უზრუნველყოფისას 4-6 წლის, საშუალო – 6-7 და მაღალი უზრუნველყოფისას 7-8 წლის შემდეგ.

ორგანული სასუქების შეტანის პერიოდულობას ადგენენ ნიადაგში ჰუმუსის შემცველობის მიხედვით: დაბალი უზრუნველყოფისას 2-3 წლის შემდეგ, საშუალო – 3-4, მაღალი 4-5 და ძალიან მაღალი უზრუნველყოფისას 5 წლის შემდეგ. ორგანული სასუქებიდან შეაქვთ ნაკელი, ბიოჰუმუსი, ტორფკომპოსტები, შერეული კომპოსტები, ჭაჭა და სხვა ანარჩენები. აქედან ბიოჰუმუსი და ნაკელი ძირითადად სხვა კულტურების გასანოყიერებლად გამოიყენება, ამიტომ საკმაოდ რენტაბელურია ვენახში სიდერატების თესვა-მოყვანა.

აღმოსავლეთ საქართველოში ადრე გაზაფხულზე სიდერატებად მწკრივთაშორისებში თესავენ ცერცველასა და მუხუდოს ნარევს, დასავლეთ საქართველოში ლურჯ ხანჭკოლასა და სოიას. მათი ნიადაგში ჩაკეთება ხდება აქტიური ყვავილობისას.

მევენახეობაში იყენებენ აგრეთვე შემოდგომის სიდერატებს, რომლებსაც სექტემბერ-ოქტომბერში თესავენ და ნიადაგში ჩახვნას აწარმოებენ ადრე გაზაფხულზე, მწვანე სასუქები ამდიდრებენ ნიადაგს ორგანული ნივთიერებებით, დაქანებულ ფართობებზე კი იცავენ ნიადაგს ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისგან.

სიდერატების თესვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ საქართველოს ჭარბტენიან და ძლიერ დაქანებული რელიეფის მქონე ფართობებზე. აზოტიანი სასუქების 60% ნიადაგში შეაქვთ გაზაფხულზე ვეგეტაციის დაწყებისა და ნიადაგის გადახვნის წინ. ამ სასუქებიდან ვენახის გასანოყიერებლად გამოიყენება ამონიუმის გვარჯილა, შარდოვანა და ამონიუმის სულფატი. ფოსფორიანი სასუქებიდან – მარტივი სუპერფოსფატი, ორმაგი სუპერფოსფატი და ფოსფორიტის ფქვილი. კალიუმიანი სასუქებიდან კალიუმის ქლორიდი და კალიუმის 40 % მარილი.

სარწყავ პირობებში განსაკუთრებით მსუბუქ ნიადაგებზე სასუქების ნორმის ნახევარი შეაქვთ ძირითადი განოყიერებისას, დანარჩენი ორი გამოკვების სახით. კომპლექსური სასუქებიდან ვენახის გასანოყიერებლად შეიძლება გამოყენებული იქნეს ამოფოსი, დიამოფოსი, ნიტროფოსი, ნიტროამოფოსი, ნიტროფოსკა, ნიტროამოფოსკა.

მიკროელემენტების სიმცირის აღმოჩენისას ვენახში აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი მიკროსასუქები.

მიკროსასუქებიდან გამოიყენება ბორის მჟავა, თუთიის სულფატი, მოლიბდენმჟავა ამონიუმი, მანგანუმის შლამი და სპილენძის სულფატი, რომელთა ნორმები, შეტანის ვადები და წესები ციტრუსოვანი კულტურების ანალოგიურია.

**დამატებითი გამოკვება**

მსხმოიარე ვენახის მოსავლიანობის გადიდების საქმეში საკმაოდ კარგ შედეგს იძლევა ფესვური და ფესვგარეშე გამოკვების ჩატარება მაკრო და მიკროელემენტებით. ვაზის ქვეშ დასაწყისს, რაც ყვავილობის წინა პერიოდს ემთხვევა. ამ პერიოდში შეიტანება აზოტის სრული ნორმის 40 %.

გამოკვებაში შესატანი აზოტიანი სასუქის რაოდენობა დამოკიდებულია მოსავლის დონეზე, დაბალი მსხმოიარობის შემთხვევაში აზოტის ნორმას ამცირებენ, ხოლო თუ მაღალია მსხმოიარობა იგივეს ტოვებენ, ან ადიდებენ. გამოკვებაში აზოტიანი სასუქებიდან შეიტანება ამონიუმის გავარჯილა და შარდოვანა. ვენახის გამოსაკვებად აზოტიან სასუქთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნას ნაკელის წუნწუხი.

ნიადაგში მიკროსასუქების გამოსაკვებად შეტანილი ნორმა ფართის ფარგლებში მერყეობს. მათი ეფექტურობა დამოკიდებულია ნიადაგის თვისებებზე. ხშირად არის შემთხვევა, როცა მინერალური სასუქები ეფექტს არ იძლევიან, მიკროსასუქებიდან მიღებული მოსავლის მატება კი თვალსაჩინოა.

მევენახეობაში ხშირ შემთხვევაში უფრო ეფექტურია მიკროელემენტების შემცველი ხსნარებით ფესვგარეშე გამოკვების ჩატარება. ამ მიზნით იყენებენ ბორის, თუთიის, მანგანუმის, სპილენძის შემცველი მარილების სხვადასხვა კონცენტრაციის ხსნარებს, პირველ შესხურებას აწარმოებენ ყვავილობის წინ და შემდგომში საჭიროების და მიხედვით რამდენჯერმე იმეორებენ. თუ ვაზს რამდენიმე მიკროელემენტი აკლია, უმჯობესია მათი ერთთდროულად შესხურება.

შრომის გაიოლებისა და დანახარჯების შემცირების მიზნით უმჯობესია მიკროსასუქების ხსნარების შესხურება ბორდოს ხსნართან ან სხვა პრეპარატების ხსნარებთან ერთად, რომლებიც მიკროელემენტებს უხსნად ფორმაში არ გადაიყვანენ. ნიადაგში ბორი შეიტანება 2-3 კგ/ჰა ნორმით, ბორის მჟავას სახით. კარგ შედეგს იძლევა ამ სასუქის 0,01-0,03 % ხსნარით ფესვგარეშე გამოკვების ჩატარება (10-30გ 100 ლ-ში).

**მინერალური და ორგანული სასუქების შეტანის ვადები და ტექნიკა**

ორგანული და ფოსფორ-კალიუმიანი სასუქების ვაზის კულტურის ქვეშ შეაქვთ შემოდგომაზე გადაბარვის წინ 18-22სმ სიღრმეზე. უფრო ეფექტურია მათი სამ წელიწადში ერთხელ შეტანა 40-60სმ სიღრმეზე. ახალი ნაკელი როგორც წესი შეტანილ უნდა იქნას შემოდგომით. იმისათვის, რომ რაც შეიძლება ნაკლებად დაზიანდეს ვაზის ფესვთა სისტემა, სასუქების შეტანა და ნიადაგში ჩაკეთება უმჯობესია მოვახდინოთ მწკრივის გამოტოვებით.

აზოტიანი სასუქები ნიადაგში შეაქვთ გაზაფხულზე. მისი 60% შეიტანება ვეგეტაციის დასაწყისში, 40% – ყვავილობის წინ. წილადობრივი შეტანით მცირდება აზოტის ჩარეცხვითი და აქროლებადი დანაკარგები, იზრდება მისი გამოყენების კოეფიციენტი.

თუ ვენახის გასანოყიერებლად ვიყენებთ რთულ სასუქებს – ამოფოსს ან დიამოფოსს, ისინი შეტანილ უნდა იქნას საგაზაფხულო გადახვნის წინ, მათში ფოსფორის შემცველობის მიხედვით. აზოტის დანაკლისი შეტანილი უნდა იქნას გამოკვებაში მარტივი აზოტიანი სასუქების ამონიუმის გვარჯილის ან შარდოვანის სახით.თუ ვენახის ქვეშ შეგვაქვს ნიტროფოსი, ნიტროამოფოსი ან ნიტროამოფისკა და სხვა აზოტის შემცველი სასუქების გამოყენება გათვალისწინებული არ არის, მაშინ მათი ნაწილი შეტანილ უნდა იქნას გაზაფხულზე გადახვნის წინ, ან კულტივაციის დროს, ხოლო მეორე ნაწილი – გამოკვებაში.თუ ვენახის ქვეშ გათვალისწინებულია ამონიუმის სულფატისა და თხევადი აზოტიანი სასუქების უწყლო ამიაკისა და ამონიაკური წყლის შეტანა, ისინი უმჯობესია შეტანილ იქნას გაზაფხულზე გადახვნის წინ, გამოკვება კი წარმოებული უნდა იქნეს ამონიუმის გვარჯილით ან შარდოვანათი.

**ავტორები:**
**ა. თხელიძე;**
**ც. სამადაშვილი;**
**ხ.დობორჯგინიძე**
**„ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების განოყიერების სისტემა“**



# მამუკა ფერიაშვილის სახელობის ტურნირი

ქ.ყვარელში თავისუფალი სტილით ჭიდაობაში მამუკა ფერიაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა.

თავისუფალ ჭიდაობაში 15 წლამდელთა შორის მამუკა ფერიაშვილის სახელობის ტურნირი ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მხარდაჭერით ჩატარდა.

ტურნირი მიზნად ისახავს, რეგიონში თავისუფალი სტილით ჭიდაობის პოპულარიზაციას და განვითარებას.

# სპორტულ ასპარეზობებზე

## მინი ფეხბურთი

21-22 მაისს, ყვარლის სასპორტო სკოლის დარბაზში ჩატარდა ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაღუპული ფეხბურთელების ჩიკო აჯიაშვილის, გიორგი თავგორაშვილის, გურამ ბაღაღოშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი „მინი ფეხბურთში“, სადაც ყვარლის რაიონის მუნიციპალიტეტის „მინი ფეხბურთელთა“ გუნდებთან ერთად მონაწილეობა მიიღო სტუმართა გუნდმა თბილისიდან (გარდაცვლილთა მეგობრები).

აღნიშნულ ტურნირზე პირველი ადგილი და შესაბამისი ხარისხის მედლები და დიპლომები გადაეცა ყვარლის „მინი ფეხბურთელთა“ ნაკრებს, მეორე ადგილი და ვერცხლის მედლები ასევე ყვარლის გუნდს, ხოლო ბრინჯაოს მედლები – შილდის ნაკრებ გუნდს.

სხვადასხვა პოზიციებზე დაწესებული საუკეთესო მოთამაშეების პრიზები მიიღეს:

საუკეთესო მეკარის პრიზი – გიორგი კიკნაძემ – ყვარელი;
საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი – ლუკა ხაჩირაშვილმა – ყვარელი;
ბომბარდირის პრიზი მიიღო გიორგი ვაშაკიძემ – სტუმართა გუნდიდან.

ტურნირის ჩემპიონები, პრიზიორები და სხვადასხვა პოზიციებზე გამარჯვებული გუნდები და მოთამაშეები შესაბამისი ხარისხის მედლებით, დიპლომებით და პრიზებით დააჯილდოვა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა გივი ზაუტაშვილმა.

## კრივი

ქალაქ მარნეულში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კრივში, სადაც მონაწილეობას იღებდა ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელი ზურა დოლმაზაშვილი.

ზურამ შესანიშნავად იასპარეზა 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში და ღირსეულად მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი (მწვრთნელები: კახა ზაუტაშვილი, ლერი გაგნიძე, ფირუზ მაისურაძე).





## ძიუდო

თბილისში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ღია პირველობა ძიუდოში გოგონათა შორის,სადაც წარმატებით გამოვიდა სასპორტო სკოლის აღსაზრდელი ლიკა ლელაძე.

44 კოლიგრამ წონით კატეგორიაში ლიკამ ოთხი შეხვედრა მოიგო, დასანანი მარცხი განიცადა ნახევარფინალში და დაეუფლა ბრინჯაოს მედალს (მწვრთნელი ვანო გიგილაშვილი).

**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# კლასიკური მუსიკის საღამო „თაობათა ცვლა“

ყვარლის მუნიციპალიტეტის ა (ა) იპ სამუსიკო სკოლების გაერთიანების ორგანიზებით 28 მაისს, ყვარლის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა კლასიკური მუსიკის საღამო – „თაობათა ცვლა“, სადაც მონაწილეობას იღებდნენ სამუსიკო სკოლის სხვადასხვა თაობის კურსდამთავრებულები.

ღონისძიებას უძღვებოდა იდეის ავტორი, სამუსიკო სკოლის პედაგოგი მაგული სააკიშვილი, რომელმაც მრავალი საინტერესო მოგონება გააცოცხლა სამუსიკო სკოლის წარსულიდან. გაიხსენა მისი დაარსების ისტორია, აქ მოღვაწე, მოწვეული პედაგოგები. პირველი კურსდამთავრებულები და წარჩინებული მოსწავლეები, რომელებმაც საკუთარი ცხოვრება მუსიკას დაუკავშირეს და ამ სფეროში გააგრძელეს მოღვაწეობა.

კლასიკური მუსიკის მოყვარულ საზოგადოებასთან ერთად კონცერტს ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. მათ შორის ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზაუტაშვილი, რომელმაც საღამოს დასასრულს საკუთარი შთაბეჭდილება გაუზიარა დამსწრე საზოგადოებას. დიდი მოწონება გამოხატა ღონისძიების მიმართ და თანადგომა გამოუცხადა სამუსიკო სკოლების გაერთიანების დირექტორს ნათია სეფაშვილს.

ღონისძიების ბოლო „აკორდი“ იყო, მონაწილეთა და მაყურებელთა მიერ, ერთობლივად ექსპრომტად შესრულებული დიდებული რეზო ლაღიძის სიმღერა – „თბილისო“.

აღსანიშნავია, შპს. შატო „ნეკრესის დირექტორის“, ამასთანავე ყვარლის მუსიკალური სკოლის კურსდამთავრებულის თენგო ამონაშვილის მეგობრული ჟესტი მუსიკალური სკოლის და საღამოს მონაწილეთა მიმართ. მან საკუთარი ღვინით – „ნეკრესი ქინძმარაული“ დაასაჩუქრა კონცერტის მონაწილენი.

თავის მხრივ,სამუსიკო სკოლების გაერთიანებამ, კონცერტის პატარა მონაწილეებს სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

**ია გიგიაშვილი**







# ილო ბეროშვილის 104 წლისთავი მშობლიურ სოფელში აღინიშნა





პოეტის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იუბილეზე ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის კულტურის განვითარების ცენტრთან არსებულმა ბიბლიოთეკამ, ილო ბეროშვილის ოჯახის წევრები, ადგილობრივი ინტელიგენცია და ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები შეკრიბა.

ღონისძიება გახსნა კულტურის განვითარების ცენტრის მთავარმა სპეციალისტმა მაგული სააკიშვილმა, რომელმაც გაიხსენა მთა-თუშეთში მოგზაურობისას შემთხვევით გაცნობილი ჩიღოს მაცხოვრებელი, რომლის მასწავლებელიც გახლდათ ილო ბეროშვილი. ოჯახის წევრებს საჩუქრად გადასცა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის და ილო ბეროშვილის ი.ჭავჭავაძის მუზეუმში გადაღებული ერთობლივი ფოტო.

საპილოტე პროექტის ფარგლებში სლოგანით: «ერის გადაშენება იწყება იქიდან, საიდანაც მთავრდება წარსულის ხსოვნა» ღონისძიების მასპინძლებმა ნატო კიკოლაშვილმა და თეონა არჩუაშვილმა პირველ და მეორე საჯარო სკოლების მოსწავლეებთან ერთად დამსწრე საზოგადოებას წარმოუდგინეს იუბილარის ცხოვრება, მოღვაწეობა და შემოქმედება. ბატონი ილოს ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორობის წლები გაიხსენა, მუზეუმის თანამშრომელმა ლიანა ავაზაშვილმა.

შესრულდა მუსიკალური ნომრები ფოლკლორული ანსამბლების: „ხეურო“ ლოტბარი რესპუბლიკის სახალხო არტისტი – ირაკლი მათიკაშვილი და „კახელო“ იზა წყალობაშვილის ხელმძღვანელობით.

ღონისძიების დასკვნით ნაწილში კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორის მაია ზარდიაშვილის მიერ გაჟღერდა სურვილი, ყოველი წლის 10 მაისი ილო ბეროშვილის დაბადების დღე გახდეს მასშტაბური, თუ სოფლის მოსახლეობის სურვილიც იქნება, იზეიმოს ახალსოფელმა და დაერქვას „ილოობა“.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86